№ 6 აგვისტო - 31 1920 წ.

ეროვა

ორკვირეული საგრობო ჟურნალი

ერობათა კავშირის კომიტეტის ორგანო

№ 6

ტფილისი. ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბა. რუსთაველის პრ. № 26.
1920

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვერდი
1.	ეკონომიური მდგომარეობა და ჩვენი ეროობა . . .	3
2.	ბიუჯეტი და ეკონომიური შემოქ მედება . . .	5
3.	პროფ. **ს. ავალიანი.**—თემის საბიუჯეტო უფლებების შესახებ	7
4.	**დ. ს—ლი.**—თემის კანონ-პროექტის გამო . . .	10
5.	**დ. ონიაშვილი**—საერთო მოხსენება	11
6.	**დ. თურდოსპირელი**—ჩამორჩენილს მაზრებში . .	18
7.	ექიმი **ი. ლომოური**—ტფილისის სამაზრო ეროობის საექიმო-სასანიტარო განყოფილების წარსული საქმიანობის და ახლო მომავლის სამოქმედო გეგმის მოკლე მიმოხილვა .	22
8.	ექიმი—ვეტერინარი **ლაშხაური**—ცხვარ-საქონლის ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა	27
9.	**მ. ქარცივაძე**—ხეხილის ბაღის გაპატივება . . .	32
10.	**მ. ყოჩიაშვილი**—სტიქიურ უბედურების შედეგები სიღნაღის მაზრაში	37
11.	**გ—ს.**—ეროობათა კავშირის განსაკუთრებული კომისია .	42
12.	**გ—ლი**—საქართველოს ტერიტორიის დაყოფის პროექტი	44
13.	პატარა შენიშვნა	45
14.	ქრონიკა	46
15.	მასალები მუშათა დელეგაციისათვის	55
16.	შრომის ბირჟის მოწოდება	57
17.	ბალანსი	59
17	კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	61

№ 6 აგვისტო - 31 1920 წ.

ერობა

ორკვირეული საერობო ჟურნალი

5665

ერობათა კავშირის კომიტეტის ორგანო

ტფილისი. ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობის სტამბა. რუსთაველის პრ. № 26.
1920

Академия наук ГССР
ეროვნული ბიბლიოთეკა
ალ. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили

31 აგვისტო 1920 წ.

ეკონომიური მდგომარეობა და ჩვენი ერობა.

მსოფლიო ომმა და საერთო პირობებმა, რომელშიაც დღეს იმყოფება მთელი ევროპა მეტად მძიმე, აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა შექმნა. ხალხის დოვლათი განიავდა, შრომის ნაყოფიერება დაეცა, ხელფასი კი საგრძნობლად გაძვირდა, ფულის კურსი მინიმუმამდე დავიდა.

ამ საერთო ეკონომიურ საყოველთაო დავრდომილებას ვერც ჩვენი რესპუბლიკა გაუმკლავდებოდა. ჩვენში კიდევ უფრო მძიმე პირობები იყო ამ მხრივ. მთელი ჩვენი ეროვნული, ინტელექტულური ძალა პოლიტიკურ სიმაგრეს მოუნდა. ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური მხარე მეორე ხარისხოვან საკითხად დარჩა.

დღეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. პოლიტიკუარად საკმაოდ მოვმაგრდით, ხოლო ეკონომიურად ვსუსტდებით. პირველი მოთხოვნილების საგნების ფასი დღითი დღე მატულობს, ჩვენი ბონი თანდათან ეცემა. იბადება საშინელი საფინანსო და ეკონომიური კრახის საშიშროება.

ამ საერთო პირობებს თან დაერთო კიდევ ჩვენში ზედი ზედ მოუსავლიანი წელიწადი. ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენი გლეხი ხეირიანად ვერ გამაძღარა.

მთავრობა ყოველივე ღონის ძიებას ხმარობს ეკონომიურ მდგომარეობის გამოსაჯანსაღებლათ. ბევრგვარი ზომებია მიღებული საღი, ეკონომიური პოლიტიკის შესაქმნელად. მაგრამ მარტო მთავრობის ბრძოლა ეკონომიურ კრიზისთან ვერ მოგვცემს სავსებით დამაკმაყოფილებელ შედეგს, თუ მას ჩვენი ერობა არ ამოუდგა გვერდში. ამ მხრივ ძალიან დიდი მოვალეობა აწევს კისრად ჩვენს ახალგაზდ თვითმართველობას. დღეს, მართალია ერობა ებრძვის სოფლად გამეფებულ სიმშილს, ეხმარება ეკონომიურად შეწუხებულ ხალხს, მაგრამ ჯერ კიდევ, სამწუხაროდ მისი ღონისძიებანი ისე მცირეა, რომ სანახევროდაც ვერ დააკმაყოფილებს ხალხის გაჭირვებას. ჯერ კიდევ ერობა თავის საკუთარი შემოსავლით მიმდინარე ხარჯებსაც ვერ ფარავს.

მაგრამ ეს გარემოება ჩვენში სრულიადაც არ იწვევს უიმედობას, მხოლოდ აუცილებლად საჭიროა თვითეულმა ერობამ გამოიჩინოს მეტი უნარი, მეტი საქმიანობა და გამჭრიახობა. ვინ არ იცის, რომ თვითეულ ჩვენს მაზრაში მოიპოვება ისეთი ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის დამუშავება, ერობას მუდმივ შემოსავლის წყაროს გაუჩენდა. აბრეშუმი, მატყლი, თამბაქო, ღვინო, ხილი, ერბო, ყველი, ხე—ტყე, შავი ქვა, ქვა-ნახშირი და მრავალი სხვა სიმდიდრე ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში მოიპოვება—მაგრამ საჭიროა ამ სიმდიდრის ნაყოფიერად გამოყენება, საჭიროა მისი ამოძრავება და სააღებ-მიცემო ასპარეზზედ გამოტანა, მისი მოხმარება. დღეს ჩვენი სოფლების ნაწარმოებით წვრილი ჩარჩ—ვაჭრები თუ სხვილფეხა სპეკულიანტები უფრო მეტს სარგებლობენ ვინემ ჩვენი ერობები.

ცხადია, საწარმოო საქმის შექმნას პირველ ხანებში დიდი თანხა სჭირია, რაც ერობას არ მოეპოვება, მაგრამ მთავრობა ასეთ შემთხვევებში არასოდეს არ დაიშურებს მისცეს ერობებს სესხი. თანხის გარდა საჭიროა საქმის მცოდნე სპეციალისტები, რითაც ჩვენ არც ისე ღარიბნი ვართ: მოგვეპოვებიან ინჟინრები, ტეხნიკოსები, აგრონომები და სხვა. საჭიროა მხოლოდ მათი გამოძებნა.

ამ მხრივ აღსანიშნავია გურიის ერობის საქმიანობა. იქ უკვე მოაგვარეს ხე-ტყის ქარხნის საქმე. ეს ქარხანა გურიის ერობას საკმაო შემოსავალს მისცემს. ერთი ერობის საქმიანობა მეორესათვის მისაბაძი და სამაგალითო უნდა იყოს.

სამ მეოთხედს ჩვენი სახელმწიფოს მოსახლეობისას სოფელი შეადგენს; სოფელია ჩვენი სახელმწიფოს ქვაკუთხედი, ის არის ჩვენი რესპუბლიკის ფუძე. ამისათვის ერობამ თავის შემოსავლით არამც თუ თავის საკუთარი საჭიროება უნდა დააკმაყოფილოს, არამედ მთელ სახელმწიფოსაც უნდა შეუწყოს ხელი. დღეს თუ ეს ასე არ ხდება, ვეცადოთ ხვალისათვის გამოვასწოროთ საქმე. აღებული სესხი ერობამ უნდა მოახმაროს უმთავრესად საკუთარ საქმიანობის მუდმივ შემოსავლის წყაროს შექმნას. ესაა მთავარი საზრუნავი საგანი.

რაც შეიძლება მეტი აქტიური და პირდაპირი მონაწილეობა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური ცხოვრების მოგვარების საქმეში!

ბიუჯეტი და ეკონომიური შემოქმედება.

დამფუძნებელმა კრებამ, რომლის სხდომები 17 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე შესწყდა, დაასრულა საქართველოს პირველი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება. მართალია ეს ბიუჯეტი არ იყო უნაკლო. არსებითად და ფორმალურად, მაგრამ მისი შედგენა თანამედროვე გართულებულ პირობებში არც ისე ადვილად დასაძლევი საქმე გახლდათ, როგორც ეს ზოგიერთებს ეჩვენებათ. ყოველ შემთხვევაში ახალ-გაზრდა რესპუბლიკის საბიუჯეტო ცხოვრებაში **პირველი სიტყვა** ნათქვამია. ეს გვაიმედებს, რომ სულ ახლო მომენტში საბიუჯეტო საქმე გამოსწორდება.

ამ იმედს კიდევ უფრო გვიმტკიცებს საბიუჯეტო ფორმულა, მიღებული დამფუძნებელი კრების მიერ სახელმწიფო წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დასასრულს.

ამ ფორმულაში გათვალისწინებულია ის მძიმე ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. მაგრამ აქვეა აღნიშნული ღონისძიებათა მთელი წყება, რომელსაც შეუძლია ეს მდგომარეობა გამოაკეთოს დ. გამოასწოროს.

მთავრობას ევალება შემოდგომის სესხის გახსნისათანავე წარმოუდგინოს დამფუძნებელ კრებას კანონ-პროექტი უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაარსებისა. ეს საბჭო თავს-მოუყრის, შეაერთებს, შეაკავშირებს ყველა ცხოველმყოფელ ძალებს და ერთი მთლიანი ეკონომიურ-ფინანსიური გეგმის თანახმად აამუშავებს მათ რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

გარდა ამისა დამფუძნებელი კრება თავის პირდაპირი გადაწყვეტილებით აღიარებს, **რ**ომ დაცული ქნეს აუცილებელი პირობა სახელმწიფურ ხარჯთ-აღრიცხვისა-სწორწონილობა სახელმწიფოს შემოსავალსა და გასავალს შორის.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია საბოლოოდ გადაჭრილი საბიუჯეტო ფორმულაში. ეს არის თვითმართველობათათვის სესხის საკითხი. სახელმწიფომ სესხი უნდა მისცეს თვითმართველობას. ეს აუცილებელია, უამისოდ შეუძლებელია თვითმართველობის საქმიანობის წინსვლა. მაგრამ სესხი მას უნდა ეძლეოდეს მხოლოდ წარმოებისათვის და ისიც მაშინ, როცა თვით წარმოება შესწავლილ-დაფასებული იქნება წინასწარ ეკონომიური და ტეხნიკური თვალსაზრისით.

მაგრამ თვითმართველობა დღეს არსებითად იგივე მართველობაა. მაშასადამე იგი უნდა უძღვებოდეს სახელმწიფურ მართვა-გამგეობის საქმეს ადგილობრივ. ამ დიდ საჭიროებას დაკმაყოფილება უნდა, რაც თვითმართველობის ნივთიერი ხელმოკლეობის გამო შეუძლებელია, თუ სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები ფინანსიური დახმარებით არ მიეშველენ. რომ თვითმართველობის საბიუჯეტო ავტონომიის საფუძველი მიღებულ იყოს, რომ საბოლოოდ გარკვეულ უფლებრივ კალაპოტში იყოს ჩაყენებული ადგილობრივი თვით მართველი ერთეული, მაშინ შესაძლებელია თვითმართველობისათვის აღარ იქნებოდა აუცილებლად საჭირო ასეთი სახელმწიფური ფინანსიური დახმარება მმართველობის ორგანიზაციის მოსაწყობად. ყოველ შემთხვევაში მაშინ სულ სხვანირი, უფრო ნორმალური ფინანსიური ურთიერთობა დამყარდება ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობის შორის მართვა-გამგეობის საქმეთა გასაძღოლად. ხოლო სანამ ეს არ გამორკვეულა, სანამ არ დაკანონებულა თვით მართველობის განსაზღვრული საბიუჯეტო უფლება, უნდა გაეწიოს თვითმართველობას ხაზინიდან დახმარება მართველობის აპარატის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად, როგორც ამას ამბობს საბიუჯეტო ფორმულა დამფუძნებელი კრებისა.

მოკლეთ უმაღლესი ეკონომიურ საბჭოს დაარსება, სახელმწიფო ბიუჯეტის სწორწონილობის დაცვა, თვითმართველობისათვის სესხის მიცემა მხოლოდ წარმოებისთვის, თვითმართველობის საბიუჯეტო უფლების გამორკვევა კანონმდებლობითი გზით, მანამდე თვითმართველობისათვის ხაზინიდან დახმარების აღმოჩენა მართვა-გამგეობის საქმის გასამტკიცებლად, მმართველობის გამარტივება და ხალხისთვის დაახლოვება-აი დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილება, აი მის მიერ ნაჩვენები და ნაკარნახევი გზა.

ეს კარგად უნდა შეიგნოს, კარგად უნდა დააფასოს და, რაც უმთავრესია, კარგად უნდა შეასრულოს ყველამ, ვისაც ეხება და მოეთხოვება.

თემის საბიუჯეტო უფლებების შესახებ

მეოთხე მუხლს კანონ-პროექტისა თემის შესახებ აქვს სათაური „**ფინანსები, საბიუჯეტო უფლებები, ანგარიში**“. ეს ძირითადი ნაწილი კანონ-პროექტისა შემუშავებული არ არის; ეს „ნაწილი შემუშავდება მაშინ, როდესაც შემუშავდება ადგილობრივ თვითმართველობათა უფლება“. ჩვენ ვიცით, რომ ადგილობრივ თვითმართველობათა საბიუჯეტო უფლებების პროექტის შესახებ განუწყვეტელი მსჯელობა არის. არ ყოფილა არც ერთი ყრილობა ერობის, მთავრობის, რომ ეს საკითხი არ აღძრულიყოს. კომისიებიც იყო არჩეული, სადღაც პროექტიც უნდა იყოს უკვე დამუშავებული. ბოლოს და ბოლოს ეს პროექტი არ იქნა დამთავრებული. თემის კანონ-პროექტი შემუშავებულია, მხოლოდ საფუძველი თემისა კი არ არის. რა სახით მოეწყობა თემი, თუ მას არ ექნება საღსარი? კანონ-პროექტში არის „სქემატიური გეზი საბიუჯეტო უფლებისა.“ ეს გეზი შემდეგი ზოგადი დებულებებით გამოიხატება: 1) საზოგადო სახელმწიფოებრივ საქმეთა შესასრულებლად საღსარს იძლევა ხაზინა, 2) სახელმწიფო ეხმარება თემს დოტაციის და სუბსიდიის საშუალებით, 3) დაბეგვრა სწარმოებს „დამატებითი სანტიმების“ სისტემით უმთავრესად საერობო გადასახადებთან. ეს ზოგადი დებულებანი ძლიერ ბუნდოვანია. ეჭვს გარეშეა, სახელმწიფო გაიღებს ხარჯს, როდესაც ერობას, თემს რაიმე სახელმწიფო საქმეებს დაავალებს. მხოლოდ არც ამ ზოგად დებულებაში, არც ჩვენ ცხოვრებაში არ არის განსაზღვრული რა არის ის რასაც კანონ-პროექტი უწოდებს „სახელმწიფოებრივ საქმეს.“ ამ ცნების შინაარსი ჩვენ ცხოვრების პირობებში ბადებს დიდ უთანხმოებას. თუ ერობა, ან თემი არის **თვითმართველობა**, მაშინ „სახელმწიფოებრივი **საქმე**“ გასაგებია. თუ ერობა, თემი წარმოადგენს **ადგილობრივ მართველობას** მაშინ ყველა ის რასაც ერობა, ან თემი აკეთებს არის სახელმწიფოებრივი საქმე და სახელმწიფოს დამოკიდებულება ადგილობრივ მართველობასთან იღებს სხვა ხასიათს, ვიდრე მაშინ, როდესაც ერობა, თემი წარმოგვიდგენია, როგორც ადგილობრივი თვითმართველობა.

მეორე ზოგადი დებულება შეეხება სახელმწიფოს დახმარებას დოტაციის და სუბსიდიის საშუალებით. ეს დოტაციები და სუბსიდიები იქმნება საზოგადო სახელმწიფო გადასახადებიდან. ეს წესი გადმოაქვთ პროექტის შემდგენლებს უცხოეთიდან და ფრიად ცნობილი და ჩვეულებრივი წესია და განმარტება მას არ სჭირდება. მხოლოდ, როდესაც დოტაციებზე და სუბსიდიებზე არის მსჯელობა უნდა მივიღოთ მხედველობაში შემდეგი: თემის წვრილი ერთეულის, საბიუჯეტო უფლებები, უნდა შეფარდებული იქნეს ერობის საბიუჯეტო უფლებებთან და სახელმწიფოს დოტაციები და სუბსიდიები, რომლებიც თემს მიეცემა უნდა იქნეს აგრეთვე შეფარდებული იმ დოტაციებთან, რომელიც ერობას მიეცემა. სახელმწიფოს დოტაციები და სუბსიდიები თემისათვის გაღებული იქნება დამოუკიდებლათ ერობის დოტაციებთან და სუბსიდიებთან, თუ სახელმწიფო პირდაპირ მიმართავს თემს. ამ საკითხზედ კანონ-პროექტი არ იძლევა პასუხს.

მესამე ზოგი დებულება შეეხება დაბეგვრას, „დამატებითი სანტიმების“ სისტემით უმთავრესათ საერობო გადასახადებთან. ამ მუხლს აქვს განმარტება, რომ ეს წესი მაშინ იქნება დამაკმაყოფილებელი, როდესაც შეიცვლება დახავსებული გადასახადთა წესდება. ამ დებულების განხორციელება გადადებულია. მაშასადამე დარჩა დღეს დღეობით ორი უმთავრესი წყარო თემის არსებობისა: სახელმწიფო ხაზინის დახმარება, როდესაც თემი აწყობს სახელმწიფოებრივ საქმეს. ასეთი დახმარება, უკეთ ვთქვათ ხარჯების გაღება ხაზინის მიერ ვერ ჩაითვლება დახმარებათ და არც შეეხება თემის ბიუჯეტს, ვინაიდგან თემი მხოლოდ აღმასრულებელი იქნება სახელმწიფოს დავალებისა და **თემის** ნება ამ დავალებით შემუშავებაში არ იქნება გამოხატული, თემი მხოლოდ გამოვა როგორც სახელმწიფოს ნების აღმსრულებელი. თანხებს, რომელსაც სახელმწიფო გაიღებს სახელმწიფო საქმეების მოსაწყობათ **თემის საშუალებით**, არ შეადგენენ თემის ბიუჯეტის პარაგრაფებს, არ შეადგენს ორგანიულად, რამდენათაც თემი იქნება აღმასრულებელი სხვისი ნების, იმდენათ მისთვის უცნობი იქნება ამ ნების განზრახვანი. თემს რჩება დოტაციები და სუბსიდიები. ადგილობრივმა მოღვაწეებმა ძლიერ კარგათ იციან რას წარმოადგენს დოტაციები და სუბსიდიები, რა თანხები სდგება ამ დოტაციებიდან; კარგათ იციან აგრეთვე რა შესდგება „დამატებითი სანტიმებით“ გადამუშავებული რომ იქნეს ახლო ხანში ერობათა სასარგებლოთ არსებული გადასახადები.

კანონ-პროექტი თემის შესახებ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ფინანსების საბიუჯეტო უფლებებს, სდგას ძველ ნიადაგზედ. საბიუჯეტო უფლებები გამოიხატება გადასახადების მოწყობაში. გადასახადები არის საფუძველი საბიუჯეტო უფლებებისა. ეს დებულება სადაო არ არის. სახელმწიფო, ერობა, ქალაქის თვითმართველობა დღეს დღეობით ვერ უარყოფს გადასახადებს. გადასახადები არის **მოქალექეს მონაწილეობა** სახელმწიფოს, ერობის, თემის აღმშენებლობითი მოღვაწეობაში. სახელმწიფო, ერობა აწყობს ცხოვრების პირობებს მოქალაქისთვის, მოქალაქე ვალდებულია აუნაზღაუროს ეს მოღვაწეობა. რაც უფრო მეტი ხარჯი აქვს სახელმწიფოს ან ერობას, რათა შექმნას შესაფერი პირობები ცხოვრებისა, იმდენათ მეტი უნდა იყოს მოქალაქის მონაწილეობა. ეს მოვალეობა უნდა იქნეს განაწილებული. მეტი ვალდებულება უნდა დაედოს მას, ვისაც უფრო მეტი საოგებლობა აქვს. ამ ვალდებულების განაწილება არის შედეგი იმისა, თუ რამდენათ მოქნილი აპარატი არის. საბიუჯეტო უფლებები თემისა დაყრდნობილია ამ ძველ წყაროზედ, და დღეს ჩვენ იძულებულნი ვართ დავეყრდნოთ ამ წყაროს. მხოლოდ უნდა წინასწარ იქნეს გათვალისწინებული, რომ ეს წყარო თავის თავათ დაუშრეტელი არ არის და ვერ გასწვდება ყველა იმ მოთხოვნილებას, რომელიც დღეს არის სახელმწიფოს შენების ხანაში. გადასახადი, როგორც საფუძველი ბიუჯეტისა, არ არის მტკიცე ნიადაგი და ამ ნიადაგზე დაყრდნობილი საქმე არ გაკეთდება. ამაში ჩვენ სავსებით დავრწმუნდით. მართალია, ბევრი მსჯელობა იყო თვითმართველობის საბიუჯეტო უფლებების შესახებ, მაგრამ საბუთად ეს საკითხი არ

არის თავსამტვრევი. საკითხი მარტივია, მას მხოლოდ ჩამოყალიბება ᲡᲭირდებᲐ. მხოლოდ უნდა აღვიაროთ, რომ ვისაც სურს ბიუჯეტი ააშენოს გადასახადებზედ ის შემცდარი არის და იმედები გაუცრუვდება. საბიუჯეტო უფლებების. გამომუშავება, რომელებიც დაეყრდნობა **მხოლოდ გადასახადებს**, ვერ იხსნის თემს, ეროობას, გასაჭირისაგან.

ეს დასკვნა უნდა მივიღოთ და საკამათოთ ნულარ გავხდით. კანონ-პროექტი თემის შესახებ ძველი, უკვე გამოკვლეული გზებით სარგებლობს, ახალი გზები არ არის ნაჩვენები. ცუდი მხარე კანონ-პროექტისა მხოლოდ იმაში არის, რომ საკითხის ჩამოყალიბება გადადებულია. მთავარი საკითხის გადაჭრა გადადებულია ვინ იცის რა დროსთვის და როდემდე. რა აზრი აქვს მთელ კანონ-პროექტს თუ თემს არ ექნება საშუალება არსებობის, თუ თემის სახსარი არ არის გარკვევით ნაჩვენები და ეს სახსარი არ მიეცემა თემს, რა ნაირათ უნდა შეასრულოს ის დიდი საქმე, რომელიც მას კანონ-პროექტის ძალით ევალება. ჩვენ ვფიქრობთ რომ ჯერ სწორეთ სბაიოჯეტო უფლებები, ფინანსების საკითხი უნდა ყოფილიყო გამორკვეული და შემდეგ აგებულიყო კანონ-პროექტი. ჩვენ გვიპასუხებენ, რომ კანონ-პროექტის განახორციელება არ მოხდეს ახლო მომავალში, მანამდის კი ფინანსების კითხვაც გადაწყდება და ეს ნაწილი კანონ-პროექტისა დამუშავდება. თემის ფინანსებს, საბიუჯეტო უფლებებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ აძლევს თემს სახსარს; სახსარის რაოდენობა, თემის შესაძლებლობა განსაზღვრავს მის მოქმედების შესაძლებლობას.

ეს ჩვენი მოსაზრება გათვალისწინებული ჰქონდაო კანონ-პროექტის შემდგენელებსაც; მათ საბიუჯეტო უფლებების დამუშავება გადასდეს, რადგან „არ იქნება შეზავებული მთავრობის საფინანსო განზრახვებთან.“ მხოლოდ მცირე განმარტებითი ბარათში არ არის ნათქვამი რა მოსაზრება აქვთ საერთოდ ამ საკითხის შესახებ კანონ-პროექტის შემდგენლებს. განმარტებითი ბარათი იმდენათ მოკლე არის, რომ კანონ-პროექტის შემადგენლების განზრახვანი მკითხველისათვის არ არის ნათელი.

პროფ. ს. ავალიანი.

თემის კანონპროექტის გამო

(ორიოდე სიტყვა)

ჩვენში ახლად აღორძინებული ერობა და მისი ერთ საფეხურთა-განი თემი, არის არა მხოლოდ ადგილობრივი მეურნეობისა და საზო-გადოებრივ კულტურული ორგანო, ის არის აგრეთვე ადგილობრივი მართველობა,—სახელმწიფოებრივი დაწესებულება. ჩვენი დემოკრატი-ული ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები უნდა გამსჭვალუ-ლი იყვენ იმ აზრით, რომ ყოველი მათი მოქმედება არის იმავე დროს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა.

თემი არის ის საძირკველი, ის ბურჯი, რომელზედაც დაყრდნო-ბილია მთელი სახელმწიფოს სხეული და თუ თემი ჯანსაღი არ არის, —ავადმყოფია მთელი რესპუბლიკაც,—თემის კეთილდღეობა და მისი სიმტკიცე, არის რესპუბლიკის კეთილდღეობა და სიმტკიცე.

თემს უნდა ჰქონდეს **საშუალება და უფლება,** რომ თავის საქმეებს პირნათლად გაუძღვეს და რესპუბლიკის კეთილდღეობა განამ-ტკიცოს.

ამავე დროს თითოეული თემი შეთანხმებულად უნდა მოქმედებდეს დანარჩენ თემებთან და მისი ინტერესები გადაჯაჭული უნდა იყვეს მთე-ლი რესპუბლიკის ინტერესებთან,—ცხადია საშუალება და უფლება, ერთი უნდა იყოს ყველა თემებისთვის და მათი მოქმედება შეზავებული. და რომ თემის ცხოვრება, მისი მეურნეობა და კულტურულ—საზოგა-დოებრივი მოქმედება, ერთს ფარგალში იყოს ჩამოსხმული, რომ ერთ თემში სხვანაირათ არ სჭრიდენ საკითხს ვიდრე მეორეში და ამნაირათ აცილებულ იქნას ის დომხალი, რაც ამისთანა შემთხვევებში ხდება ხოლმე,—უაღრესათ საჭირო იყო შემუშავება ისეთი დებულებების, რომ თემებს მისცემოდა ერთნაირი ნორმა ვალდებულება—უფლებების მხრივ.

ერობათა კავშირის კომიტეტმა ადრე მიაქცია ყურადღება თემთა უფლებრივ ნორმებში ჩამოყალიბების საჭიროებას და თავიდანვე შეუდ-გა ამ ფრიად საპასუხისმგებლო და საყურადღებო საკითხის გადაჭრას. ამ მიზნით მის მიერ მოწვეული იყო თემთა წარმომადგენლების თათბი-რი, სადაც კომიტეტს მიეცა საშუალება გასცნობოდა პირდაპირი წყა-როდან თემის სულის კვეთებას, მის მოთხოვნილებას და მათ მოსაზრე-

ბებზე დაყრდნობილი, უფრო ენერგიით შესდგომოდა თემის დებულების შედგენას.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მძიმე პირობებს, რომელიც შექმნილია ეხლა ჩვენს გარშემო, რის გამო კომიტეტს არ ჰქონდა ბევრი დრო და საშუალება დამშვიდებით და გულდადებით ემუშავნა თემის ვალდებულება-უფლებების ჩამოყალიბებისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტმა გადალახა ეს დაბრკოლებანი და ეხლა ჩვენ ხელთ არის მის მიერ დამუშავებული თემის დებულებათა პროექტი, რომელიც წარედგინება უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებს განსახილველად და დასამტკიცებლათ.

ერობათა კავშირის კომიტეტმა კარგათ უწყოდა, რომ „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“ და ამიტომაც არის მისი გულისყური მიქცეული თემის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და იგი არ აკლებს არც შრომას არც ენერგიას, რომ ეს მიზანი კეთილად დაგვირგვინდეს...

დ. ს—ლი.

საერთო მოხსენება

დ. ე. ონიაშვილისა ტფილისის მაზრის. ერობის გამგეობის მოქმედებაზე.

(ხმოსანთა მე VII-ე ყრილობის ანგარიშებიდან).

1) მომხსენებელი ამბობს, რომ შარშანდელი ხარჯთ-აღრიცხვა უდრიდა 28 მილიონ მანეთზე მეტს. ამ ხარჯთ-აღრიცხვით დასახული სამუშაო გეგმა მთლიანად ვერ შესრულდაო. ეს აიხსნება იმ ობიექტიური პირობებით, რომლებიც არ აძლევდნენ გამგეობას შეძლებას ფართოდ გაეშალა ხელი. ამ შემაფერხებელი პირობებით აიხსნება მაგალითად ის, რომ განძრახული იყო სახელოსნოების მოწყობა, მაგრამ ფითქმის არაფერი გაკეთებულა ამ მხრივო. წარსულმა წელიწადმა განვლო დეფიციტით: გასავალი იყო 28080236 მან.; შემოსავალი— 21,871686 მან. მაშასადამე დეფიციტი აღემატებოდა 6 მილიონ მანეთ-

სო. ეს არის ნავარაუდევი დეფიციტი; ხოლო ფაქტიური დეფიციტი-კი გაცილებით ნაკლებია, სახელდობრივ იგი შეადგენს 1,1/2 მილიონ მანეთსო, რაც აიხსნება მით, რომ გამგეობამ ხარჯთ-აღრიცხვა სულ ვერ ამოსწურა. ამის შემდეგ მომხსენებელი იძლევა მოკლე დახასიათებას ცალკ-ცალკე განყოფილებათა მოქმედებისას.

2) **საადგილ-მამულო** დარგი. თანდათანობით აღნიშნულ განყოფილების საქმიანობა იღებდა ნორმალურ მიმდინარეობას და გასული წლის მეორე ნახევარში, შეიძლება ვსთქვათ, რომ იგი წესიერ კალაპოტში იყო ჩაყენებული. იმ დეფექტებს, რასაც დასაწყისში ადგილი ჰქონდათ შემდეგში აღარა ვხედავთ. როგორც მოგეხსენებათ მიწის რეფორმაში ორი მთავარი მომენტია—ეს არის ჩამორთმევა მამულებისა და შემდეგ მათი განაწილება. ერთი ნაწილი ამ რეფორმისა გათავებულია და გვაქვს ცნობები თუ რამდენი უნდა გადაეცეს გლეხკაცობას. მთელ მაზრაში უნდა დაურიგდეს ღარიბ მშრომელ გლეხკაცობას 28,533 დესეტინა და 1422 საჟ. მიწა, რაც მიეცემათ მათ სულ მცირე ფასებში. შეფასებულია ეს მიწა 19273373 მან., რომელიც შემოვა ხაზინაში, ხოლო 10% ამისა შემოვა ერობის კასაში. ერობის კასაში შემოვა აგრეთვე 40% გაყიდულ მიწების ღირებულობისა. ეს ჯერჯერობით კანონ-პროექტია, მაგრამ იგი უსათუოდ კანონად იქცევა. იმავ კანონ-პროექტით გათვალისწინებულია, რომ ეს ფული უნდა მოჰხმარდეს უსათუოდ თვით მამულის გაუმჯობესების საქმეს.

შემდეგ, საადგილ-მამულო განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ ნაწილი ზოგიერთ მამულებისა გადმოსცემოდა ერობას და სამინისტრომ ეს შუამდგომლობა განყოფილებისა დააკმაყოფილა. ამ რიგად გადმოდის ერობის განკარგულებაში 23 ნაჭერი მამული და იქნება საერობო მიწის ფონდი. მაგრამ ამაზე არა ჩერდება განყოფილების მუშაობა. მიწები სჭირდებათ აგრეთვე ერობის გამგეობის სხვა და სხვა განყოფილებებს, მაგალითად აგრონომიულ განყოფილებას, სასკოლო, საექიმო და სხვა. ამასთანავე მიღებულია ზომები, რომ ერობის მიწის ფონდი გაფართოვებულ იქნას.

ღალების აკრების საქმეს წინათ დიდი ნაკლი ჰქონდა. არ იყო ცნობაში მოყვანილი რაოდენობა იმ მიწებისა, საიდანაც უნდა შემოსულიყო ღალა, მაგრამ ღალა მაინც იკრიბებოდა და მთელი ხნის განმავლობაში აკრებილია—პური 5006 ფუთი და 39, 1/2 გირვ., ქერი—284 ფ. 16 გირვ., სიმინდი 394 ფ. და თივა 28890 ფ. აქედან ნაწილი

დაუბრუნდა სამინისტროს, ხოლო ნაწილი დარჩა ეროობას, რომელიც შელავათიან ფასებში ურიგდებოდათ გაჭირვებულ სოფლებს. მომავალში განყოფილებას დასჭირდება უფრო ინტენსიური მუშაობა და გამგეობასაც აქვს დაჭერილი ეხლავე ამისათვის სათანადო თადარიგი.

3) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს **აგრონომიულ** განყოფილებას. ჩვენ ღარიბნი ვართ არა მარტო მით, რომ ცოტა მიწები გვაქვს, არამედ იმითაც, რომ არ ვიცით მიწის დამუშავებაც. დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის დამუშავების ცოდნას. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი ქვეყანა, როგორიც არის გერმანია. აქ უკეთესად არის საქმე დაყენებული და მიწას მეტ ნაყოფს აღებინებენ. ასეთი ცოდნის გავრცელება არის აგრონომიული განყოფილების საგანი. ამიტომ გამგეობას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ამ **განყოფილებაზე**.

მთელი მაზრა დაყოფილია სამ აგრონომიულ რაინებად. ესენი არიან: გარეთ-კახეთის რაიონი, მანგლისისა და გარეუ-უბან-ასურეთის რაიონი. **გარეთ-კახეთის** რაიონში ეროობას აქვს: 1) საგარეჯოში—აგრონომიული პუნქტი; 2) მარტყოფში—მანქანების გასაქირავებელი პუნქტი, 3) სართიჭალაში—ამერიკული ვაზისა და ხეხილის სანერგე; 4) მალხაზოვკაში—სამეურნეო მანქანების საწყობი; 5) საგარეჯოს ახლო მოწყობილია „საბეროს" მიწებში საჩვენებელი მინდორი. **მანგლისში**—მოეწყო აგრონომიული პუნქტი და აღბულაღში—სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტი სარემონტო სახელოსნოებით. **გარეუბან-ასურეთის** რაიონში: 1) კოდაში არის იარაღების გასაქირავებელი პუნქტი; 2) წამლეულობის მცენარეთა სანერგე წავკისში. მომავალში განზრახულია მომატება აგრონომიულ პუნქტების ზოგიერთ ადგილებში, შემდეგ—მოწვევა მეღვინეობის სპეციალისტისა.

ეროობამ მოაწყო ფერმა, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. მისი მოვლა და ყურის გდება აბარია აგრონომიულ განყოფილებას. საზოგადოთ ახალი წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ამ განყოფილებას უჭირავს სერიოზული ადგილი, რასაც ციფრები გვიჩვენებენ. თუ შარშანდელ ხარჯთ-აღრიცხვით ამ განყოფილებისათვის გაღებულ იყო 1 მილიონი **მანეთი**, ახალ-ხარჯთ-აღრიცხვით გაღებულია 9 მილიონი მანეთი.

4) **სასურსათო დარგი**: საერთოდ პირობები ისეთია, რომ ძნელია ამ საქმის მოწყობა არამც თუ ეროობისათვის, არამედ სახელმწიფოსათვისაც მთელს რესპუბლიკაში. ბაზარზე ბევრი მყიდველი გამოდის, ხოლო გასაყიდი ძალიან მცირეა. ამ ნიადაგზე ვრცელდება სპეკულიაცია და აქ

ჩნდება ეროობისათვის შემბორკავი პირობები, როგორც დაწესებულებისათვის. ეროობა რომ საზოგადოებრივი დაწესებულება არ იყვეს, მაშინ არც მას გაუძნელდება ფულის ტრიალი. აქ საჭიროა რისკი, მაგრამ რისკის გაწევა, რაც საჭიროა მოგებისათვის, ეროობას არ შეუძლიან. კომერციას მუდამ არა პირდაპირი გზით უყვარს სიარული და სავაჭრო კომბინაციების მოხდენა არ არის ეროობის საქმე. გარდა ამისა სასურსათო ოპერაციების წარმოება, მოგეხსენებათ, რომ დიდ თანხებს მოითხოვს. მართალია ჩვენ ბევრჯერ დაგვიდგენია—გადიდოს სასურსათო განყოფილების განკარგულებაში ამდენი და ამდენი თანხაო, მაგრამ დადგენილება მარტო დადგენილებათ დარჩენილა და ნამდვილად არავითარი თანხა არ მიგვიცია და დარგის სათავეში მდგომ პასუხისმგებელ გამგეობის წევრის მძიმე მდგომარეობაც სწორედ ამაში იყო.

მომავლისათვის გადაწყვეტილია გამოვითხოვოთ მთავრობისაგან სესხი და ვიმედოვნებთ, რომ თუ ეს სესხი ავიღეთ, საქმე უფრო წაიწევს წინ. მიუხედავათ იმ ძნელ პირობებისა, რომლებშიც უხდებოდა განყოფილებას ეწარმოებინა თავისი საქმიანობა, მან მაინც შესძლო ამ ხნის განმავლობაში 10 მილ. მანეთის საქონლის შეძენა, საიდანაც 2 მილ. მანეთი უნდა ჩაითვალოს მოგებათ. განყოფილებას განზრახვა აქვს სურსათ-სანოვაგის შეძენის საქმე ასე აწარმოოს: შეიძენს მაზრის სხვა-და-სხვა ადგილებში სურსათ-სანოვაგეს, ჩამოიტანს აქ ცენტრში და აქედან მიაწვდის რაიონებში იმ საგანს, რაც ალაგობრივ არ არის. აქედან დაანაწილებს საჭიროების მიხედვით იმ რაონებში, რომლებშიაც არ არის ესა.

5) **სასანიტარო საქმე** შედარებით სხვა განყოფილებებთან უფრო კარგათ არის დაყენებული და საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ეს დარგი თავიდანვე კარგად მოეწყო. დღეს მაზრაში არის 9 სამკურნალო უბანი და 4 საფერშლო პუნქტი, 6 ადგილას მწოლიარეთათვის საავადმყოფოებით, აფთიაქებით, ამბულატორიებით და სხვა სასანიტარო პუნქტებს არა აქვსთ შესაფერი შენობები; მაგრამ ამაზე ქვეით გვექნება ცალკე ლაპარაკი და მოვითხოვთ ყრილობისაგან დადასტურებას ჩვენი წინადადებისას, რომლითაც განზრახული გვაქვს რამდენიმე ადგილას სახლების იძულებითი შესყიდვა.

6) **სასკოლო საქმე** შედარებით წინანდელთან გაუმჯობესებულია. ეროობას აქვს 74 სკოლა, მათ შორის სამი უმაღლეს დაწყებითი. ამ 74 სკოლიდან 9 პირველი დაწყებითი სკოლა არ მოქმედობს. მასწავლე-

ბელთა რიცხვი უდრის 102 კაცს, ხოლო მოწაფეთა რიცხვი—3942 ბავშვს. რასაკვირველი სკოლები არ ჰყოფნის სრულებით შედარებით იმ დიდ მოთხოვნილებასთან, რომელიც არსებობს ხალხში და განყოფილება ყოველნაირად ცდილობს, რომ სწავლა-განათლების საქმე გაა-ფართოვოს. რამდენიმე ადგილას მოწყობილია მოზრდილთათვის საღამოს კურსები. სკოლები ეროვნულ ელფერიანობის მხრივ აჭრელებულია: არის რუსული, ბერძნული, თათრული და სომხური სკოლები. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ამ სკოლებთაგანში მასწავლებლები ვერ იქცევიან ღირსეულად და ნაცვლად კეთილი საქმისა შეაქვთ შხამი და შფოთი. იყო ისეთი შემთხვევა, როცა ერთი ეროვნული საბჭო გამოექომაგა კიდევაც აშკარა დამნაშავე პირებს, მაგრამ დროზე მიღებულ ზომებით აღდგენილ იქნა ნორმალური მდგომარეობა. რასაკვირველია, სკოლას აქვს თავისი დეფექტებიც: მასწავლებლების შემადგენლობა ვერ არის შესაფერისად მომზადებული, მაგრამ არსებულ ჯამაგირზე უკეთეს კონტინგენტს ვერ მოვიზიდავთ. კარგი მასწავლებელი კარგ გასამრჯელოსაც თხოულობს. მართალია მთავრობა იძლევა მასწავლებლებისათვის კრედიტებს, მაგრამ ეს მცირეა და ეროობას კი თავის მხრივ იმაზე მეტის მიცემა, რასაც აძლევს, არ შეუძლიან.

7) **ტეხნიკური განყოფილება** ერთი უდიდესი დარგთაგანია. მისი ყურადღება მიქცეული იყო გზების შეკეთების საქმეზე. გზები ბევრია და მასთან ყველა შესაკეთებელია, მაგრამ გზების მოწესრიგება უძნელდება თვით სახელმწიფოსაც—კი და იმასაც ვერ მოუვლია თავის გზებისათვის. მიზეზი საერთოა—საშინელი დაცემა ფულის კურსისა. ფულით რომ ვერა კეთდება რა მთავრობამ გადასწყვიტა გზათა აღმშენებლობის საქმეში ბეგრის შემოღება და გზათა სამინისტროს მიერ შემუშავებულია სათანადო პროექტიც. კანონი აიძულებს ხალხს, რომ მან მოიტანოს თავის შრომა და ასე მოევლოს საქმეს... გამგეობა მუდამ უწევდა ანგარიშს ყრილობას და როცა იგი გვეუბნებოდა, რომ ტეხნიკურ განყოფილებაში ეს თუ ის პირი არ შეეფერება თავის ადგილსო, ჩვენ ამას ვიღებდით მხედველობაში და ვცვლიდით მათ. ამ რიგათ ჩვენ რამდენჯერმე გამოვცვალეთ ინჟინრები.

ტეხნიკურ განყოფილების ნაწილს შეადგენს ტრანსპორტი, რომლის შესახებ არ ვიცით თუ რით გათავდება საქმე—ზარალით თუ მოგებით, ვინაიდან სიძვირე ქერის და თივისა ყოველდღე მატულობს, და

ფრიად ართულებს საქმეს მაგრამ ტრანსპორტი მაინც მოქმედობს, — ხალხს საშუალება ეძლევა იარონ მანგლისსა და აღბულაღისაკენ.

ვინც საგარეჯოში ყოფილა, იმან იცის, რომ იქ მწვავე საკითხია ხევების შეკეთების საქმე. ერობამ ყოველისფერი ღონე იღონა: შეიმუშავა ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი, გაგზავნა ტეხნიკები, ინჟინრები, მაგრამ ხალხი თავის პირდაპირ მოვალეობას გაურბის; მას არა აქვს იმდენი შეგნება, რომ ის საქმე, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის, გააკეთოს.

განზრახული იყო და დაწყებულია კიდეც წისქვილის აშენება ყარაიაზში. გარდა ამისა ერობამ აიღო კიდევ ტყის ექსპლოატაციის საქმე საგარეჯოს რაიონში (ყორულის ტყისა) ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ადგილობრივ ხალხისათვის, ისე გვარდიელთათვის, ვინაიდან მათ იქ მამულები აქვთ დამუშავებული. ეს წისქვილი ჯდება 5 მილიონი მან. 2 მილიონი ჩვენ გადავდეთ და 3 მილიონს კი გვაძლევს მომარაგების სამინისტრო. მარიამობისთვის დამლევამდე მოვაწყობთ ამ საქმეს.

8) **მილიციის საქმე** ყველაზე მტკივნეული საკითხია არა მარტო ჩვენ მაზრაში, არამედ ყველგან რესპუბლიკაში.

დღეს ხალხი გადაჩვეულია თავის მოვალეობის აღსრულებას და ამის გამო მილიციას უძნელდება მუშაობა სოფლად.

ძალიან მძიმეა მტკიცე ადმინისტრაციის შექმნა. ერთი წლის განმავლობაში 5 მაზრის მილიციის უფროსი გამოვცვალეთ. რამდენიმე რაიონის მილიციის უფროსი გადავაყენეთ, მილიციონერები დავითხოვეთ და სხვა. სამწუხაროდ მილიცია დაბალ საფეხურზე იყო. არის რამდენიმე მაგალითი ბოროტ-მოქმედებისა. მიზეზი სხვათა შორის ის არის, რომ მილიცია ნივთიერად უზრუნველყოფილი არ არის. ხშირად მოსულან და უთქვამთ ჩვენთვის მილიციონერებს, მოგვეცით საჭირო გასამრჯელო, მოგვეცით ცხენების შესანახი ფული და აღარ ავიღებთ ქრთამსაო. მაგრამ ჩვენ საშუალება არა გვაქვს დავაკმაყოფილოთ ისინი. თანახმად დამფუძნებელ კრების დადგენილებისა, მილიციის უფროსი იღებს 4500 მან. ხოლო უბრალო მილიციონერი — 800 მან... ამის გამო ჩვენ ვერ მოვთხოვთ მათ სამსახურის პირნათლად აღსრულებას. ფურაჟის ფული ეძლევათ 1000 მან.

როგორც ჩვენ გვინდოდა ისე ვერ მოვაწყეთ ადმინისტრაციის საქმე, მაგრამ რაც შეგვეძლო გაკეთდა. უკანასკნელ ხანში იკლო-ბო-

როტ-მოქმედებამ, მაგალითად—კაცის მკვლელობამ მაზრაში. ხშირია ქურდ-ბაცაცობის მაგალითი, მაგრამ ამაში თვითონ ხალხი უნდა დაეხმაროს ადმინისტრაციას. შტატით 2 მილიციონერია ყველა სოფლის საზოგადოებაში, მაგრამ ეს ცოტაა. დიდი საპასუხისმგებლო საქმეა. შედარებით ბევრი გაკეთდა და იდეალურათ კი რომ შევხედოთ, მაშინ ბევრი ნაკლი აქვს.

9) შარშან ყრილობაზე მიღებულ და დამტკიცებულ იქნა წესდება **კონტროლის** დებულებისა და ამორჩეულ იქნა მთავარი კონტროლიორი. მან მოიწვია თავის 2 თანაშემწეები. კონტროლი სრული კონტაქტით მუშაობს გამგეობასთან. ის ემორჩილება საბჭოს, მაგრამ ამის და მიუხედავად რამე გაუგებრობას გამგეობის და კონტროლის შორის არ ჰქონია ადგილი.

კონტროლმა შეიმუშავა წესდებები, ფორმები ბლანკებისა და სხვა; შედგენილი არის მათ მიერ 65 აქტი. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ აქტები უყურადღებოთ ყოფილიყო დარჩენილი. ჩვენ ყველაზე **პასუხს** ვაძლევდით. თუ საკითხი პატარა იყო, მაშინ მე, როგორც თავმჯდომარე ვაწერდი სათანადო რეზოლიუციას და თუ დიდ საქმეს ეხებოდა, მაშინ გამგეობას ხსენდებოდა.

თემების საკითხი. თბილისის მაზრაში ამ ჟამად მოქმედებს 7 თემი. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ თემები ტფილისის მაზრაში ძალიან მოისუსტებენ. ამას აქვს რამდენიმე თავის გასამართლებელი საბუთებიც. პროვინციაში ძალიან ნაკლებათ არიან ადგილობრივ ინტელიგენტური ძალები. ერთი მიზეზთაგანი თემების საქმეების მოუწესრიგებლობისა არის თემების ტერიტორიის სიდიდე. თემი ახლო უნდა იდგეს ხალხთან. თემი ისე უნდა შემცირდეს, რომ შეეძლოს ხალხთან პირდაპირ და უშუამავლოდ საქმის დაჭერა. თემების წარმომადგენლებთან ამ საგანზე ერობის გამგეობას თათბარი ჰქონდა და მაშინ დაახლოვებით 23 თემი გამოვყავით დღევანდელი სათემოებიდან. მაგრამ გამგეობას ეს გადამეტებულად მიაჩნია. გამგეობამ ცალკე იქონია ამაზე მსჯელობა და შეადგინა თავის პროექტი თემების ვადამიჯვნისა, რომელიც ყრილობას წარმოედგინება დასამტკიცებლად. ამ პროექტით ტფილისის მაზრაში იქნება სულ 15 თემი. მაგალითად გარე-უბნის თემი ამ პროექტით დანაწილებულია ოთხ თემად და სხვა.

ზემოდ მე მოგახსენეთ, რომ წარსულ წელს ჩვენ ვერ ამოვწურეთ მთელი ხარჯთ-აღრიცხვა. ამიტომ მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა

ჩვენ შევადგინეთ უფრო მეტი სიფრთხილით და ეკონომიით. ყველაფ-
რის გაკეთება უცბად შეუძლებელია. ერობამ თავის მოქმედება უნდა
გაშალოს თანდათანობით და საკუთარი ძალების გათვალისწინებით.

აი ის უმთავრესი დებულება, რომელიც უძევს საფუძვლად მომა-
ვალი წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

ჩამორჩენილს მაზრეგზე.

დუშეთის, თიანეთის და სხვა მათ ჯერა ჩამორჩენილი მაზრები ის სურა-
მის ციხეა, რომლის აშენება ფრიად დიდ და ძვირფას მსხვერპლს მოითხოვს. თუ
არა თავგამოდებული მუშაობა და საუკეთესო ძალთა მისთვის გამოყენება ისე
ამაო იქნება ყოველივე ცდა მათი ფეხზე დასაყენებლად. დიდი ხანია რაც ვეცნობები
მათ საჭიროებას და ყველას-ვისაც შეუძლიან მიხედოს ვთხოვთ ჯეროვანად მოე-
კიდნენ მათს მოთხოვნილებებს. განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ მათი
კულტურულ მუშაობაში ჩასაბმელად, და დღემდე ვერ მოხერხდა ესა. მე ძალი-
ან კარგად მესმის, რომ საქართველოს რესპუბლიკის დაცვის საქმე იპყრობს
მთავარ ყურადღებას ჩვენი მეზობლებისას, მაგრამ არც ისე უნდა დავივიწყოთ,
რომ რაც უნდა განვამტკიცოთ რესპუბლიკის საფუძველი—,თუ ასეთი მნიშვნე-
ლოვანი მაზრები კვალინდებურად ჩამოოჩენილი გვეყოლება—ერთ საბედისწერო
დღეს შეიძლება ვანდეას ცოდვით აღტყინდნენ და პირქვე დაამხონ თავგამო-
დებით და ფარეზით აშენებული რესპუბლიკა. რა თქმა უნდა ვანდეას გლეხთა
შეცდომას არ განიმეორებს დუშეთის მაზრის გლეხ—კაცობა—მანამ სანამ ოდნავ
მაინც ბჟუტავს მის გულში ნაღვერდალი რესპუბლიკის სიყვარულისა; მაგრამ
«ბევრი ვოიში ხარს უკუღმა წაიყვანსო» ნათქომია და, ასეთი უკუღმა წამყვანი
გადამწე-გავერანებული პირები ჯერ კიდევ ბლომად აიიან, რომ დავთრები და-
უბნიონ ჩვენს გლეხობას და გადარიონ უხამსი ქადაგებით. კარგი ხალხია სანა-
ტრელი ასეთ მაზრებში, თორემ თავზე ხელაღებულ ბოლშევიკებს და სხვა ვიგინდა-
რებს ბლომად შეხვდებით. იშვიათია არიან მაზრაში ისეთი მუსვეურები, რომელ-
თაც მასწავლებლის ჩირაღდანი ეჭიროთ ხელში და მითი ანათებდენ გონებრივ
სიწყვდიადემდე მყოფ გლეხ—კაცობას. შარშან საშუალება მქონდა გავცნობოდი
ხევსურებს და სიტყვის ჟრჟოლვამ ამიტანა რაც იქ სიბნელე და სიველურე
ვნახე. ამოდენა კუთხე ისეა მივიწყებული, რომ ერთი რა არის, ერთი სასწავ-
ლებელი არ არის გახსნილი. ძველი წყობილების დროს უფრო მეტი კეთდებოდა
და ოთხი სასწავლებელი მოქმედობდა. დღეს კი, როდესაც განათლების საქმე
საქართველოში უკეთა გვაქვს დაყენებული ხევსურეთის და მთიულეთის სკოლებ-
ში ღამურები დაფარფატობენ და უარესად აღონებენ სულს უმედობის წრიპი-

ნით. შარშანვე ვითხოვდი დაეჩქარებიანთ იქ სკოლის გახსნა, მაგრამ მოელმა წელმა განვლო და მათ არა ეღირსათ რა. ახლა ვიყავი მთიელთ ხევში და სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ ხევსურეთში ბოლშევიკების ფულები მხნედ ამუშავებულან. ბოლშევიკების მოქმედების ასპარეზი სწორეთ ასეთი კუთხეა და დანაშაულობა იქნება თუ მათ არ დაუპირდაპირეთ ჩვენი მუშაობა. მთიულეთში მომივიდა გუდამაყრელების საჩივარი ხევსურებზე. ბოლშევიკების წაქეზებით თავს დასხმიან გუდამაყარს და ექვსასი ცხვარი წაუსხავთ. ასეთი თავდასხმით ჰბადებენ ქართველთა ტომებში ერთმანეთისადმი გაუნელებელს სიძულვილს და თუ მათ არ გაუჩინეთ ადგილობრივ ხელმძღვანელები მალე ისტორიულ და მოსისხლე მტრებად გადაიქცევიან. ამისი მსგავსი ამბები ხდება დუშეთის მაზრის სხვა მხარეებშიაც. მერმე ვინ უნდა გაუძღვეს ამ საქმეს? სამაზრო ერობა? თვით გა ლავარ სამაზრო ერობის ხმოსანთა საბჭოს თავმჯდომარე. პატრიოტიზმი თავისი ერობისა უნდა მალაპარაკებდეს ბევრს კარგს, მაგრამ ტკბილი სიტყვები ხომ მალამოდ არ მოეცხობიან მაზრის საჭიროებას. ერობები დიდი ღვთის წყალობაა, უფრო ბედნიერებაა თემები, მაგრამ თემიც არის და თემიც დუშეთის მაზრის თემებს—უთემობა სჯობია. აქ გავეცანი ყველა თემებს და საცოდაობა ვნახე. არ იციან რა აკეთონ და როგორ აკეთონ. არც შესაფერისი ცოდნა და ძალღონე შესწევთ. ჩვენმა მთავრობამ ძალიან დაიიმედა გული და მათ გადასცა თვისი საერობო მოვალეობა, მაგრამ გაუძღვა ყველა ერობა ამ საქმეს? ამ მხრივ ფრიად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა განაპირა მაზრები. ადრევაც იყო ამ მაზრებში მრავალი დაუკმაყოფილებელი საჭიროებანი და მარად ცენტრალურ მთავრობას მიმართავდენ ხოლმე თხოვნით; დღეს კი ეს მთავრობა ერობისკენ უშვერს ხელს, ერობას სათავეში უდგია ორიოდ პირი და რას მოახერხებს იგი? ერობისთვის საჭიროა ფინანსიური ღონისძიებანი, ეკონომიური საღსრები, გამოცდილი და სპეციალისტი პირები, თემების ხელმძღვანელები. მცირეოდენის გამოკვლევით არაფერი ამისი მსგავსი არა მოეპოვება რა დასახელებულ ერობებს. დღემდე ნათქვამი იყო: ზოგი ჭირი მარგებელიაო. სამწუხაროდ ჩვენმა სინამდვილემ მეორე ანდაზაც დაჰბადა: ზოგი სიკეთე მავნებელიაო. მართლაც მთლად ერობებისთვის რომ არ გადაეცა მთავრობას მაზრის გაძღოლის საქმეები, ეს ერობები ასე არ დაბეჩავდებოდენ. მთავრობა გველის ტყავში გაძვრებოდა და მაინც გამოძებნიდა საღსარს და ხალხს ამ ჩამორჩენილ მაზრებში გასაგზავნად. ამ ჟამად კი ეს მზრუნველობა ერობა სა აქვს მინდობილი და იცარება უსაღსრობით საქმე.

ყურადღება, რაც შეიძლება მეტი ყურადღება, აი ესაა სათხოვარი დუშეთის მაზრის ხალხისა. ყოველთვის როცა მათ შორის ვტრიალებ მუდამ შემომჩივიან, ელიან შველას და რომ არ მეძლევა საშუალება შესაფერისად დავეხმარო, გული მიტყდება და ლამის აღვიკვეთო იქ სიარული. რა ერთი ხანია ვანუგეშებ მოგხედავთ მთავრობა მეთქი, მაგრამ დუშეთის მაზრა კვლავ უყურადღებოთაა მიტოვებული.

მობილიზაცია იყო გამოცხადებული როცა ჩამოვლა ვიწყე სოფლებისა.

ხალხი უსწავლელია, აქ არ მოდის არც გაზეთი და არც ვინმე ჰყავთ ჩამგონებელი. ესაა მიზეზი რომ ათასი ჭორები დაიარება ხალხში. სრულებით წარმოდგენილი არა ჰქონდათ ვისთან ვიბრძოდით. როცა ტყობილობდენ სინამდვილეს—აღტაცებაში მოდიოდენ. ამბობდენ: თვალი დაუდგა ჩვენს სიბნელეს არა გაგვეგება რა, გვატყუებდენ პროვოკატორები, გვირჩევდნენ არ წავსულიყავით ჯარში, თორემ ეს რომ არ ყოფილიყო ვინ თავმკვდარი დაიშურებდა ჯარში წასვლას და თავის გაწირვასო. ისე მიტინგი არა მქონია რომ მხილებაში არ ჩაცვენილიყვენ დეზერტირები. თავიანთი ნებით გამოდიოდენ და ცხადდებოდენ ჯარში წასასვლელად. ყველა ის ეპიზოდები, რომელიც მიტინგებზე შემხვდა საგურამოში, მთიულეთში, ფშავის ნაწილში, ოსებში, მუხრანში ხევში და სხვაგან—მოთხრობილი მქონდა ერთ ერთ დღიურ გაზეთის ვრცელ წერილებში. ახლა კი ვიტყვი, რომ ხალხი დუშეთის მაზრისა მთლად არაა გაუკულმართებული. ის იმაზე უკეთესია—ვიდრე ჰგონიათ; უკეთესი შეიქნება თუ მივხედავთ, სათანადო დონეზე დავაყენებთ ერობას. მივცემთ საშუალებას ეკონომიურად აღორძინებისას; მაზრა ფრიად ღარიბია. თელავ-სიღნაღის და სხვა მაზრებივით არ შეუძლიან იოლათ წავიდეს გადასახადებით. თუ ვისმეს ესაჭიროება ფინანსიური დახმარება--პირველ რიგში დუშეთის მაზრა უნდა იდვეს. ამ მხრივ ჯერ რესპუბლიკაში კარგა არ არის სესხის საქმე მოწესრიგებული. ამიტომაც არის რომ დუშეთის მაზრა იმასაც ვერ ღებულობს, რაც სხვას მიაქვს ამითვე აიხსნება, რომ უსაღსრობის გამო კულტურულ საქმეებს ვერ უძღვება. ნივთიერად მდიდარი მაზრა კი კულტურული ძალებითაც მდიდრდება. ის არ იშურებს დიდ ჯამაგირებით გადაიბიროს მცოდნე ხალხი და ჩვენ ჯაგლაგ პირების ამარად ვრჩებით. არავისა სურს ასეთ ღარიბ მაზრაში წამოსვლა უსაღსრობის გამო. მაზრის სკოლები საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებიან. მე ვნახე ბავშები, რომლებიც აგურებზე გაწყობილ ფიცრებზე მეცადინეობდენ. ბევრ სკოლებში პარტები არა ჰქონდათ, და დაფების ნაცვლად ფიცრებს ხმარობდენ. ბევრ სკოლებს მასწავლებელი სრულებით არა ჰყავს. კიდევ მრავალი არა ნორმალური მდგომარეობაა მაზრაში და ყველა ეს სასტიკად მოითხოვს მთავრობის ყურადღების მიქცევას.

დუშეთის მაზრა სასამართლოს მხრივაც უმწეობას განიცდის. წინად სოფლის კაცები არჩევდნენ სადაო კითხვებს მომჩივანთა შორის. როგორც ვიცით კანონმდებელმა ორგანომ გააუქმა—სოფლის მსაჯულები და მათი მოვალეობა გადასცა მომრიგებელ მოსამართლეებს. მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი დიდი ბედენაა რესპუბლიკისათვის, მაგრამ საუბედუროდ, იგინი ვერა სწვდებიან სოფლებს სიშორის გამო. დუშეთის მაზრა უზარმაზარია. მარტო სიგრძე ას ოთხმოც ვერს აღემატება. მთელ მაზრას კი ჰყავს მხოლოდ სამი მომრიგებელი მოსამართლე: მცხეთის, დუშეთის და ფასანაურის. სამომრიგებლო უბნის რადიუსი სამოცდა ათს ვერსს აღწევს. ბევრი სოფელი ისეა დაშორებული მოსამართლის კამერას, რომ მომჩივრები ვერ მოდიან მათთან. განსაკუთრებით ეს ძნელდება ზამთარში, როცა თოვლი მრავალ საზოგადოებას მთლად მოსწყვეტს ხოლმე სარაიონო ცენტრსა. მაზრის ერობას კარგადა აქვს შეგნებული ეს არა ნორ-

მალური მდგომარეობა და ერთ წელზე მეტია რაც შუამდგომლობს რამდენიმე ცალკე ერთეულად გამოყოფის შესახებ, მაგრამ ვერ მიღწია მიზანს. ამნაირად დაშორებული ხალხი ნება უნებლიეთ თემებს მიჰმართავს. თემებიც იძულებული ხდებიან იკისრონ ეს მოვალეობა და თავიანთი პირდაპირი საქმის ნაცვლად-აკეთებენ სასამართლოს საქმეებს. ასეთი მოქმედება დიდ არევ-დარევას იწვევს. თემის პრესტიჟიც ეცემა, ვინაიდან ამა თუ იმ შემთხვევაში შეიძლება თემის დადგენილება გაუქმებული იქნეს სასამართლოს მიერ. აუცილებლივ უნდა გამრავლდეს მომრიგებელ მოსამართლეთა უბნები, ან არა და ასეთ მაზრებში დროებით მაინც უნდა აღსდგეს სასოფლო სასამართლოები თუ არ გვინდა რომ უფლებრივ საქართველოს რესპუბლიკაში ხალხი სასამართლოს დაეძებდეს და ვერა ჰპოულობდეს.

ჯეროვანი ყურადღების მიქცევაა საჭირო მთიულეთისათვის მოსიარულე მასწავლებელთა შტატის შედგენაზე. ჯერ კიდევ კარგა ხანი გაივლის ვიდრე შევძლებთ მთელი მთების სკოლებით მოფენას. საქართველოს ზომიერი ნაწილი მთიულებითაა დასახლებული. მათი სოფლები ხუთ-რვა კომლოვანია. იქ ბარის ტიპის სკოლები არ გამოდგება და ასეთს ადგილებში უეჭველად უნდა იარონ მასწავლებლებმა და ესაუბრონ ხალხს ყოველ გვარ საკითხებზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ, რომ იქ კვლავ მეფეებზე არ ოცნებობდნენ და ბაგრატოვანთა გვარის აღდგენას არ მოელოდნენ, როგორც ხდება დღეს-დღეობით ზოგგან. ევროპის სახელმწიფოებში კი ყოფილან მოსიარულე მსაწავლებლები და მით უფრო საჭირონი არიან ისინი საქართველოში, საცა ახლა იშლება იალქნები სწავლა-განათლების საქმისა.

დასასრულ დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა და საპროპაგანდო კომისიამ დუშეთ-თიანეთის მაზრებში ხან-და ხან მაინც უნდა გამოგზავნონ ხოლმე ის პირები, რომელნიც საქართველოში ცნობილნი არიან მჭერმეტყველობითაც და მუყაითი მოღვაწეობითაც. ეს პირები რომ იცნობდნენ ჩამორჩენილ მაზრებს, მაშინ გაადვილდებოდა ბევრი საქმის მოგვაოება-ვინაიდან ჩვენს ჩივილს უმწეობის შესახებ-შეურთდებოდა მათი ავტორიტეტული დასტური.

ჩემთვის არა ერთ საზოგადოებაში მოუმართავთ საყვედურით, რა გახდა, რა ისე გაძნელდა, რომ ერთხელაც არ გველირსა ნახვა მინისტრების და დამფუძლებელ კრების სახელოვან წევრისაო.

მართალიც არიან. დამფუძნებელ კრების წევრების ნახვით არ უნდა იყვეს დანატრულებული ხალხი. დამფუძნებელი კრება საქართველოს უზენაესი დაწესებულებაა და მისი სულის ჩამდგმელები უეჭველად უნდა გაეცნონ ფშავ-ხევსურეთს, მთიელთ-ხევს და სხვა მთიან ადგილებს. დუშეთ-თიანეთის პასუხისმგებელ პირებმა და გლეხებმა მთხოვეს დამეყოლიებინა დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძე წამოსულიყო ამ მაზრებში თუ-ნდა რამდენიმე მიტინგის მოსაწყობად.

დუშეთ-თიანელებს თვისი მესვეურები და ბელადები ისევე უყვართ როგორც ბარელებს და მათ ნახვაზე არა ნაკლებ ოცნებობენ.

„გულს მათი ხილვა უხარის
თვალთ კვალად ენატრებიან“

დ. თურდოსპირელი.

ტფილისის სამაზრო ერობის საექიმო-სასანიტარო განყოფილების წარსული საქმიანობის და ახლო მომავლის სამოქმედო გეგმის მოკლე მიმოხილვა.

მეორე წელიწადია, რაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერობა მუშაობს. აღნიშნული დრო ძალიან მოკლეა, რომ საერობო მუშაობის შესახებ რაიმე გარკვეული და საბოლოო დასკვნა ან მსჯელობა გამოითქვას. დღეს დღეობით საერობო მუშაობა, თუ შეიძლება ასე ითქვას „თეზისის“ ხანას განიცდის. საერობო საქმიანობის რომელსფეროსაც კი გავითვალისწინებთ—აგრონომიული იქმნება იგი თუ საექიმო—სასანიტარო ან სხვა დარგი ყველგან გაორკეცებული, იმედიანი, კულტურული მუშაობაა გაჩაღებული. ერობას ყველა სამოქმედო დარგში უკვე გარკვეული ხაზი აქვს აღებული; სამუშაო თვითეული დარგი შემოფარგლულია, ფარგალში ნათელი გეგმაა ჩადებული, გეგმას მტკიცე საძირკველი აქვს ჩაყრილი და მისი ამა თუ იმ დარგის მუშაკნი მაგარი ნაბიჯით, დიდის იმედით, გაათკეცებულის ენერგიით წინსვლას განაგრძობენ. საქმის ასეთი დასაწყისია გამოსახული ერობის სამუშაო ყოველ დარგში და კერძოდ საექიმო-სასანიტარო დარგშიც იგივე სურათია. ერობის მუშაობის წარსული დროის განმავლობაში საექიმო-სასანიტარო დარგს—ამ ფრიად მნიშვნელოვან და საერობო საქმიანობის საჭირო დარგს—ახალი საძირკველი ჩაეყარა განათლებულ ხალხთა ცხოვრებიდან გადმოღებულ საერობო ორგანიზაციის სახით. საექიმო-სასანიტარო ორგანიზაცია ჩვენი სამაზრო ერობისა საუკეთესო, გუმანიულ პრინციპებზედაა დაყრდობილი, როგორიცაა, მაგალითად ყოველმხრივი უფასო ხალხის მკურნალური დახმარება. ს.-ს. განყოფილებას ფართე ჯანმრთელობის გეგმა აქვს გარკვეული, რომლის ერთად-ერთი მიზანია ხალ-

ხის გაჯანსაღება. გეგმის განხორციელებას განყოფილება უკვე შეუდგა საქმის მტკიცე და საღი საძირკვლის ჩაყრით. საძირკველი ამოიყვანა იმ სამკურნალო ორგანიზაციამ, რომელიც დღესაც ასრულებს თავის დიდს მოვალეობას—ხალხის გაჯანსაღების საქმეს—წამლობითი მედიცინის საშუალებით და მოარულებთან ბრძოლით.

მოხსენებასთან დართული სტატისტიკური ცხრილი სურათია, ერთის მხრით, ჩვენი მაზრის მრავალ მხრივი და მნიშვნელოვანი დაავადებისა და მეორეს მხრივ, იმ მუშაობისა, რაც მაზრის ასეთმა დაავადებამ მოითხოვა სამკურნალო პერსონალისაგან და საექიმო-სასანიტარო განყოფილებისაგან. თითქმის ყოველნაირ სენს აქვს ადგილი ჩვენს მაზრაში, და პერსონალი შესაფერ ანგარიშს და პასუხს აძლევდა, რასაკვირველია, შეძლებისა და გვარად, მაზრის დაავადების მოთხოვნილებებს. მოარულების გავრცელების დროს საექიმო პერსონალი დიდს შრომასა და ენერგიას ხარჯავდა აუარებელ ავადმყოფთა მოვლა წამლობის დროს. მუშაობა თავგანწირვამდე მიდიოდა ზოგიერთ საერობო უბანში. ზოგი თანამშრომელი ორჯერ-სამჯერ ზედიზედ გახდა გადამდების სენით ავად. არა ნაკლები მუშაობაა უბნებში მშვიდობიანობის დროს. როცა მოარულები არ არიან გავრცელებულნი, ზოგიერთ ამბულატორიაში ყოველდღიურ ავათმყოფთა რიცხვი საშუალოდ 30—40 ადამიანამდე უდრის. სამკურნალო მუშაობა ზოგიერთ საერობო უბნებში იმდენად კარგად მოეწყო, რომ ექიმები რთულ, მაგალითად, ტვინის ოპერაციებსაც კი აკეთებდენ—რასაც ხაზი უნდა გაესვას და აღინიშნოს, როგორც დიდათ მნიშვნელოვანი და სასიხარულო ამბავი—ფაქტი ჩვენი მაზრის საერობო მედიცინისა. ს.—ს. ორგანიზაციამ თავის მოკლე ხნის მუშაობით უკვე ერთგვარი გამოცდილება დაიმსახურა, არ ვამბობთ უშეცდომებოთ, რადგანაც შეცდომები ყოველივე ახალ და დიდ საქმეს ზედ ართავს, და ამავე დროს ერთგვარი საღი და ცოცხალი მისაბაძი ტრადიცია შექმნა, რაც მომავალ თანამშრომლებს შესამჩნევად გაუადვილებს საქმიანობას. საშინელება იყო, როცა ჩვენს დარგში მუშაობას ვიწყებდით. თითქოს ბინდ-ბუნდის დროს, უცხო, უჩვევ გზით, სუსტი ნაბიჯით მივდიოდით უიმედოთ წინ. დღეს კი სულ სხვა გახლავთ. გარკვეული გზა-გზა ხალხის ჯანმრთელობისაკენ მატარებელი, ს.-ს. განყოფილებას გადაშლია წინ. თანამშრომელნი ს.-ს. დარგის მუშაკნი უკვე მიდიან მტკიცე ნაბიჯით ამ გზით გარკვეული გეგმის შესრულებით. ერთგვარი გამოცდილება და ტრადიცია მათ გულს უმაგრებს და მძიმე

საქმიანობაში ამხნევებს. დღევანდელ მძიმე, ყოველმხრივ ხელის შემშ-ლელ პირობებს რომ არ დაეცარათ საქმე, მუშაობის შედეგი უფრო საგრძნობი და დიდი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მომენტის გადულახველ პირობებს ვერას უზავთ. საქმე დიდათ ფერხდებოდა და ხანდისხან სრულიად ჩერდებოდა. მხოლოდ იმედი, დაუშრეტელი ენერგია და მუყაითი შრომა თავისას არ იშლიდნენ და საერობო ჯანმრთელობის საქმე კუს ნაბიჯით,—მაგრამ მაინც მიდიოდა წინ. და აი დღეს თვალი რომ მიმოვავლოთ ს.—ს. განყოფილების მუშაობის ფარგალს—ჯერ უნდა აღვნიშნოთ საერობო ცხრა სამკურნალო უბანი და ოთხი საფერშლო პუნქტი თავის შემადგენლობით, სამკურნალო ამბულატორიებით, ექვს ადგილას მწოლიარეთათვის საავათმყოფოებით, ყველგან აფთიაქებით და სხვა საჭირო მოწყობილებით. თვითეული პუნქტი, საუბნო საავათმყოფო, ამბულატორია მოწყობილია არა მხოლოდ გარეგნულად—აქვს დაქირავებული ბინა და გამოკრული განცხადება ავადმყოფების მიღების საათების აღნიშვნით—არა—არსებობს უკვე როგორც შინაური საქმიანობით და წესრიგით ჩამოყალიბებული და საბუთებ-დავთრებით გამაგრებული დაწესებულება—რაც ყველაზე უფრო ყურადსაღებია ერობის საქმიანობის გულმოდგინე მეთვალყურესათვის. შემდეგ უნდა ყურაღღება მიექცეს ს.—ს. დარგის ჩამოთვლილ დაწესებულებათა წარსული დროის მუშაობის ჯამს, რომელიც გამოიხატება აქ დართულ სტატისტიკური ცხრილის ცნობებით. ეს უენო, მუნჯი ციფრები განა ცოტა რამეს გვეუბნებიან ერობის ს.—ს. დარგის შესახებ. იქ, ციფრებში ნათლად სჩანს მაზრის მნიშვნელოვანი დაავადება ერთის მხრივ და ციფრებ შორის კი ის, დიდი, ენით გამომთქმელი შრომა და ენერგია, რომელიც დახარჯა ჩვენს დაავადებულ მაზრაზედ ერობის ს.-ს. განყოფილებამ; მეორეს მხრივ მით უმეტესად სიამოვნებით აღსანიშნავია ერობის ამ დარგში მუშაობა, რომ შედეგი, ნაყოფი მუშაობისა მეტის მეტად საგრძნობია, თუ რომ შევადარებთ, მაგალითად, თუ გნებავთ, მიმდინარე ზაფხულს წარსული წლის ზაფხულს. ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენი ცხოვრების თითქმის ყოველივე მხარე, ეკონომიური გნებავთ თუ პოლიტიკური და აგრეთვე სხვაც, უფრო ძალიან გართულდა, გამწვავდა, უზომოდ გაძნელდა ზოგიერთ მომენტებში და მიუხედავად ცხოვრების აი ამ სოციალურ-ეკონომიურ ანორმალობისა—ხალხი დღესდღეობით—წელს ზაფხულს უფრო ნაკლებად არის დაავადებული სხვა და სხვა სენით, მოარულით, ვიდრე შარშანდელ ზაფხულში. იქნებ ამ მოვლენის ასახსნელად იქ ადგი-

ლი ჰქონდეს იმ მოსაზრებასაც, რომ ცხოვრების უკიდურესობა, მომენტის უაღრესი განცდა, როგორც კერძო პიროვნების სულიერ მდგომარეობაში, აგრეთვე მთელი ერის სულიერ შემძლებლობაში კვლავ უჩინარ, სადღაც ღრმა წიაღში მიბინარებულ ძალებს იწვევს სამოქმედოთ და მით, როგორც ერთს ინდივიდუმს ისე მთელ ერს ასალკლდევებს, აკაჟებს და მეტს აძლებინებს. მაგრამ აქ არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს, რომ წრევანდელი ზაფხულის შარშანდელთან—ხალხის ჯანმრთელობის მხრივ—განსხვავებაში ერობის ს.—ს. ორგანიზაციის მუშაობასაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი, და ვფიქრობთ წვლილი მნიშვნელოვანი, ეს გახლავთ ერთი მხარე—ასე თუ შეიძლება ითქვას, პრაქტიკული მხარე ერობის ს.—ს. დარგის მუშაობისა; მაგრამ უნდა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს მუშაობის მეორე მხარესაც—სანიტარულ--იდეიურ, პროპაგანდისტულ მოქმედება-მოღვაწეობას. ს.—ს. ორგანიზაციის თანამშრომელნი ყველგან და ყოველთვის, სადაც კი გარემოება მათ ხელს უწყობდა მართავდნენ ეგრედ წოდებულ „სანიტარულ კრებებს“ და ხალხს ადვილ გასაგები ენით სანიტარიის მცნებებს და მოთხოვნილებებს უხსნიდნენ და ასწავლიდნენ. წაკითხულ იქნა აგრეთვე ლექციები ზოგიერთ ავადმყოფობაზედ და სანიტარულ თემაზედ. გამოცემულ იქმნენ ზოგიერთი სანიტარული მოთხოვნილებანი სავალდებულო დადგენილებათა სახით. ჩვენის დარგის მოსამსახურენი სამობილიზაციო და სხვა და სხვა სპეციალურ კომისიებში მუდამ თანამშრომლობდნენ. ჩვენი ერობის ს.—ს. განყოფილების თაოსნობით ქ. ტფილისში რესპუბლიკის ყველა ერობის წარმომადგენელთა პირველი ყრილობა იქმნა მოწვეული. ყრილობამ ბევრი თეორიულ--პრაქტიკული საკითხებისრეზოლიუციების და ინსტრუქციების სახით ახსნა-განმარტება და ადგილობრივ სახელმძღვანელოთ და ცხოარებაში გასატარებლად დაგზავნა. აი მოკლედ, სქემატიურად უმთავრესად რაში გამოიხატა ჩვენი ერობის ს.—ს. დარგის მუშაობა და ღვაწლი. აქ სრულიადაც არ არის ნახსენები ის მეორე ხარისხოვანი, განყოფილების ყოველდღიური შრომა, რომელიც მეთვალყურის ყურადღებას არ იქცევს, მაგრამ ისეთი მნიშვნელობისაა, რომ მასზედ, როგორც სარჩულზედ გაეწყობა და ისახება ყველასათვის შესამჩნევი პირი, სახე მუშაობისა.

კვლავ, ცხოვრების სხვა პიროობებში, სხვას შეიძლება უფრო მეტი გაეკეთებინა, მაგრამ ჩვენმა განყოფილებამ მეტის გაკეთება ვერ შესძლო. მიზეზები ამისა ბევრი იყო. საზოგადოთ რესპუბლიკის უსახსრობა და ხელმოკლეობა ერობის საქმიანობისთვისაც უმთავრესი დამცარავი ხელის

ფაქტორი იყო. ზღაპრული სიძვირე ყველაფრისა და ბაზარზე ჩვენი სპეციალური დარგის მოწყობილების ხშირად უქონლობა არა ნაკლებ აძნელებდა ჩვენს საქმიანობას. ჩვენ როგორც სხვა სპეციალურ, აგრეთვე ს.—ს. დარგშიაც ძალიან ცოტა შესაფერისი და მომზადებული ქართველი მუშა-მოსამსახურენი გვყავს. დღეს დღეობით მაზრაში ათ ექიმში მხოლოდ სამი ექიმია ქართველი და ეს გარემოებაც ძალიან აფერხებდა და აფერხებს საქმეს. უცხო ტომის მოსამსახურენი ჩვენი ენის, წეს-ადათის არ მცოდნენი, გავლით, შემთხვევით იყვნენ ჩვენს საქმეში შემოსულნი და რასაკვირველია მათი შრომის ნაყოფიერება ამ მიზეზით მდარე და ნაკლები იყო. ერობის საქმე საერთოდ დიდი კულტურული საქმეა. ხალხმა რომ ადვილად და ჩქარა შეითვისოს და შეიგუოს ერობის კულტურა უნდა ერთგვარი სიმაღლის განვითარება—მომზადება ჰქონდეს. ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენი ხალხი წარსულ საუკუნის ბარბაროსული მონობის წყალობით შესამჩნევად არის დაქვეითებული და სასურველი ჩქარი ტემპით არ იღებს იმას, რასაც ერობა აძლევს; ს.—ს. დარგში ჩვენი ქართველი ხალხი ზოგიერთ ადგილას ისევ მკითხავ-აქიმებს და სოფლის ბებიას ერობის განათლებულ ექიმებს და ბებიებს ამჯობინებს. ჩვენ განყოფილებას სხვა კიდევ ბევრი მიზეზი უშლიდა ხელს წარსულში საქმიანობის დროს. მაგრამ იმედია ცხოვრების პირობები ახლო მომავალში ისე შეიცვლებიან, რომ ყოველნაირი დაბრკოლება სრულიად მოისპობა და ერობას—მის ს.—ს. განყოფილებას მაშინ მიეცემა საშუალება გააკეთოს ის, რაც აქამდის ვერ შესძლო. გასაკეთებელი კი ძალიან დიდი და რთული საქმეა დარჩენილი წინ.

ექიმი ი. ლომოური.

(დასასრული იქნება)

ცხვარ-საქონლის ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა *)

ჩვენი რესპუბლიკა უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა და მიწა მუშავდება არა მანქანებით, არამედ საქონლის საშუალებით.

ამიტომ არის, რომ სოფლის მეურნეობა და საქონლის მოვლა-მოშენება ისე არიან ერთმანეთში მჭიდროდ დაკავშირებულნი, ორგანიულად შესისხლხორცებულნი, რომ მათი ცალ-ცალკე არსებობა კი არა, წარმოდგენაც შეუძლებელია.

თუ გვაინტერესებს პირველის, სოფლის მეურნეობის წინსვლა, აყვავება, უნდა უეჭველად ხელი შეუწყოთ და ყველა ზომები ამოვწუროთ მეორე დარგის, საქონლის მოვლა-მოშენების, განსავითარებლად და რაციონალურ ნიადაგზედ დასაყენებლად.

გერმანელები ამბობენ: „ბევრი საქონელი, ბევრი ნაკელი-სასუქი, ბევრი სასუქი-ბევრი პური, ბევრი პური-ბევრი ფული“. ეს მართლაც ასეა, მხოლოდ საჭიროა მეურნეობას და საქონლის მოვლა-მოშენებას ხელი შეუწყოს, პრიმიტიული ფორმები წარმოებისა შეიცვალოს რაციონალურ ფორმებზედ და ჩვენ მივიღებთ როგორც ბევრს პურს, აგრეთვე ბევრს ფულს.

ერთი რამ უნდა აღინიშნოს: საქონლის მოვლა-მოშენება, მისი ტეხნიკის მეცნიერულად დაყენება არ არის საკმაო, რომ მართლა ცდა და შრომა ამ სფეროში ნაყოფიერად დაგვირგვინდეს.

საქონელს, როგორც ადამიანს, თან სდევს ათასნაირი სენი, რომელიც ხან გამუდმებით, ხან პერიოდიულად მოედება ხოლმე შინაურ პირუტყვს და რამდენიმე წლის ნაამაგდარს, შექმნილ საქმეს ანგრევს, სულეტს პირუტყვს და კატასროფამდის მიჰყავს არა მარტო კერძო პირთა მეურნეობა, არამედ მთელი სოფლისა, მაზრისა და ხან და ხან სახელწიფოსიც.

ვეტერინარიის აზრი და ცდა მიმართული უნდა იყოს მარტო იქით კი არა, რომ ებრძოლოს შინაურ პირუტყვთა ავათმყოფობებს და გადამდებ სენებს, როცა იგინი უკვე ფაქტიურად არსებობენ, არამედ იქითკენაც, რომ ჯერ ერთი, ეს არ მოხდეს და, მეორე, პირუტყვი ჩავაყენოთ ისეთს პირობებში, რომ სენმა ვერ დასძლიოს მისი ჯანი და თუნდაც დაავადდეს, ადვილად გადაიტანოს და სიკვდილს გადაურჩეს.

ამ კითხვებს არკვევს მეცნიერება, ეგრედ წოდებული პირუტყვთა გიგიენა, ე. ი. სწავლა პირუტყვთა ჯანმრთელობის შენახვაზედ.

ცხვრებმა გვიჩვენეს, რომ როგორც ადამიანი, აგრეთვე შინაური პირუტყვი, განიცდის ერთგვარს გავლენას გარეშე ობექტიურ პირობებისაგან: ჰაერი,

*) მოხსენება წაკითხული მეცხვარეთა და მესაქონლეთა ყრილობაზედ მოგყვავს შემოკლებით

წყალი, საკვებავი, ნიადაგი, მოვლა-შენახვა და სხვა. ეს საერთოდ ის ობექტიური პირობებია, რომელთა სიავ-კარგეზედაც არის დამოკიდებული როგორც ჩვენი, აგრეთვე ცხოველების ჯანმრთელობა.

მიგრამ ყველაზედ საშიშნი არიან მეურნეობისათვის გადამდები სენნი, ეპიზოოტიები. ჩვენ კარგად ვიცით, რომ გადამდები სენი ჰგულისხმობს ამა თუ იმ სენის გამომწვევ პარაზიტს და ან მიკროორგანიზმს, რომელიც სხვა და სხვა გზით გადადის ერთი პიროუტყვიდან მეორეზედ და ამ რიგად ედება სოფელს, თემს, მაზრას და მთელ-სახელმწიფოს.

რა ეპიზოოტეზია გავრცელებული ჩვენს რესპუბლიკაში? ამ კითხვაზედ არსებული სტატისტიკა ძრიელ ცოტას გვეუბნება, რადგან საჭიროა ვიცოდეთ არა მარტო ის, თუ რა ეპიზოოტეზია ჩვენში, არამედ ისიც რა მასშტაბით, რა მიზეზებით, და რა გარემოებაში იჩენს ხოლმე თავს ესა თუ ის სენი; ბრძოლა უნდა სწარმოებდეს არა მარტო თვით ეპიზოოტიასთან, არამედ მის დასაბამთან.

არსებული სტატისტიკა გვეუბნება, რომ ჩვენში მომეტებულ წილად მძვინვარებენ ცხვრებზედ: დისტომატზი, ანუ ღვიძლის პეპელა, თურქული, ტუბერკულოზი, სნვა და სხვა კანის ავადმყოფობანი, ციმბირის ჭირი და სხვა. მსხვილ ფეხა რქოსან საქონელზედ: შავი ჭირი (чума рог. скота), ციმბირის ჭირი, გემორაგიული სეპტიცემია, მალარია და სხვა. ღორზედ ჩუმა, წითელი ქარი, (рожа)—და სხვა, ფრინველებზედ თხიპა და სხვა.

აუცილებელია მათთან ბრძოლა და ამ ბრძოლას შემთხვევითი და განკერძოებითი ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ სისტემატიური ენერგიული, იძულებითი. სავალდებულო და თუ ეს ასეა, საჭიროა გარკვეული კანონმდებლობა, ერთის მხრით, და აღმასრულებელი ძალა, მეორე მხრით; ყოველი ცდა და ბრძოლა გადამდებ სენთა წინააღმდეგ უნაყოფიერო იქნება, თუ იგი არ სწარმოებს ერთდროულად ყველგან, სადაც კი მძვინვარებს „თუ საქონლის ყოველი პატრონი იღებს წინასწარ ზომებს გადამდებ სენის წინააღმდეგ, მხოლოდ ერთი ვინმე ამას არ ემორჩილება, საკმაოა რომ მოსპობილმა ბოროტებამ ხელახლად წამოყოს თავი. საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: დროებით მოსპობა კერძო საკუთრებისა, მესაკუთრის თავისუფალ მეურნეობის მაგიერ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი ძალდატანება",—ამბობს კაუცკი თავის აგრარულ საკითხში.

საზოგადოდ უნდა ითქვას შემდეგი: სახელმწიფოს არ უნდა ეშინოდეს ეპიზოოტების მძვინვარების დროს კერძო საკუთრების იურიდიული ფორმების დარღვევისა, თუ ეს საჭიროა სენის საწინააღმდეგო იძულებითი ზომების გასატარებლად და მის მოსასპობად. ასეა საფრანგეთში, ასეა ინგლისში და ყველა კულტურულ სახელმწიფოებში.

ჩვენ რესპუბლიკის ფარგლებში, ასე ვსთქვათ, შინა სანიტარია უნდა იყოს მკაცრი და ენერგიული, როგორც არსებულ სენთან ბრძოლაში, აგრეთვე წინასწარი ზომების დაცვა უნდა სწარმოებდეს სისტემატიურად, შეუწყვეტლივ და ეს სისტემა უნდა ემყარებოდეს არა მარტო მცხოვრებთა შეგნებას და ნდობას (ეს ხომ იდეიაა), არამედ ვალდებულობას და იძულებას.

საზოგადოდ ყველგან და ჩვენშიაც საქონელი იყოფა ორ კატეგორიად: სამეურნეო და სამრეწველო-სავაჭრო. პირველ კატეგორიას ეკუთვნის ყველა ჯურის შინაური პირუტყვი, რომელიც იხმარება ან როგორც სამუშაო ძალა, ან შინაურ მოთხოვნილებისათვის, ან მოსაშენებელ-მოსახმარებლად და ან მერძეობისთვის და სხვა.

მეორე კატეგორიის საქონელი-ყველა იმ ჯურის შინაური პირუტყვია, რომელიც მიდის სასკლაოზედ ქალაქთა მცხოვრებთა სასზრდოსთ და ან საზღვარ-გარეთიდან შემოდის ჩვენს ტერიტორიაში იმავე მიზნით.

საქონლის დანაწილება კატეგორიებად დამოკიდებულია მის საბოლოო დანიშნულებაზედ. სამრეწველო სავაჭრო საქონელი იდევნება ერთი ალაგიდან მეორეში, ნახირების ყიდვა შეჯგუფება ხდება სხვა და სხვა ალაგას, შემდეგ ნახირები მიემართებიან ბაზარზედ გასასყიდად და ან პირდაპირ ქალაქებში დასაკლავად. ამ კატეგორიის საქონელი შედარებით სამეურნეო საქონელთან უფრო მოძრავია და ამიტომ ხშირი მოვლენაა, რომ მას გადააქვს ერთი ადგილიდგან მეორეში საქონლის სხვა და სხვა გადამდები სენი. ცხადია, საჭიროა განსაკუთრებული ყურის გდება და მკაცრი ვეტერინარ-სანიტარული ზომები, რომ ამ საქონელმა არ გაავრცელოს ჭირი უავადო კუთხეებშიაც და რადგან ამ კატეგორიის საქონლის ტრანსპორტი სწარმოებს მთელ რესპუბლიკის ტერიტორიაზედ, არ განისაზღვრება თემის ან მაზრის ფარგლებით; ამიტომ ეს საქმეც უნდა იკისროს სახელმწიფომ, რის შესახებაც უნდა გამოიცეს სათანადო-კანონმდებლობა და შეიქმნას განსაკუთრებული კადრი ვეტერინარ-ექიმებისა, რომელთა მოვალეობაც უნდა იყოს თვალყურის დევნა ამ გვარ ნახირების შეჯგუფება-გადარეკ-გადმორეკაზედ და ყოველ შემთხვევაში მილებულ იქმნენ სათანადო ზომები. აგრეთვე სანიტარული ზედამხედველობა ესაჭიროება სამთა-ბარო საქონლის მოძრაობასაც და საქონლის ნედლი მასალის გადატან-გადმოტანას.

ამის გარდა, კარგათ მოგეხსენებათ, რომ საქონელის გაუმჯობესება ძეიძლება სამი გზით: კულტურულ წმინდა ჯიშის მოშენებით, მეტიზაციით და ადგილობრივ ჯიშთა თვითგაუმჯობესობით.

პირველი ორი მეტოდის ცხოვრებაში გასატარებლად ჩვენ დაგვჭირდება შეძენა წმინდა კულტურული ჯიშის ეგზემპლიარებისა დასავლეთ ევროპიდან. ამავე დროს კი ფაქტია, რომ ამ გვარი ეგზემპლიარები ხშირად დაავადებულნი არიან ტუბერკულოზით და ამისათვის არის, რომ ბევრგან, მაგ., როგორც ინგლისი, საფრანგეთი, დანია და სხვა, მიღებულია კანონი ფერმების საქონლის როგორც კლინიკურ, აგრეთვე ტუბერკულინით პეროდიული გამოცდის შესახებ და მხოლოდ ამ გამოცდის შემდეგ ეძლევათ ნებართვა საქონლის გაყიდვა-გადარეკ-გადმორეკისა.

სტატისტიკური ცნობები გვეუბნებიან, რომ აქამდისინ მაინც თითქმის ოცდა ათი პროცენტი მსხვილ-ფეხა საქონლისა და ორმოცი პროცენტი ცხვრებისა თბილისის ბაზარზედ შემოდიოდა აღმოსავლეთ კავკასიიდგან, აწ არსებულ

ადერბეიჯანის რესპუბლიკიდგან, ყარსის ოლქიდგან და სამხრეთ რუსეთიდგან, ჩრდილო კავკასიიდგან. ეჭვ გარეშეა, ჩვენ ყოველ მხრივ უნდა ხელი შეუწყოთ ამ გვარ იმპორტს, პროტეკციონიზმს ალაგი არუნდა ჰქონდეს, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ისიც ვიცით, რომ როგორც ადერბეიჯანში, ისე სომხეთში და ეხლა ჩრდილო კავკასიაშიაც განუწყვეტლად მძვინვავარებს საქონლის შავი ჭირი და სხვა გადამდები სენი და ახლო მომავალშიაც არ არის იმედი მათ მოსპობისა, რადგან სპარსეთის და ოსმალეთის მოსაზღვრეობა მეზობელ რესპუბლიკებთან, სადაც თითქმის არაფერ ზომებს არ ღებულობენ საქონლის ჭირის წინააღმდეგ, გვაფიქრებინებს, რომ ბოლო არ ექნება იქიდგან ჭირის შემოტანის შემთხვევებს.

მაშასადამე, ჩვენი რესპუბლიკის მთავრობამ ერთი მხრით ხელი უნდა შეუწყოს საქონლის იმპორტს, მეორე მხრით კი დაიცას თავის ტერიტორია საქონლის სხვა და სხვა გადამდებ სენის შემოტანისაგან. ამიტომ საჭიროა დაწესდეს: გარკვეული სავეტერინარო სანაპირო პუნკტები.

ეს შინა და სანაპირო სანიტარია.

მაგრამ პროფილაქტიკის და სანიტარიის გარდა სხვა და სხვა გადამდებ სენების წინააღმდეგ მეცნიერების მიერ შემუშავებულია სხვა და სხვა სპეციალური შრატები, ვაქცინები და პრეპარატები, რომელნიც ითვლებიან ერთ უმთავრეს იარაღად ეპიზოოტიებთან ბრძოლაში.

საჭიროა და აუცილებელი თვით ჩვენმა რესპუბლიკამ დაარსოს ვეტერინარ-ბაკტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც ექნება ორი დანიშნულება მეცნიერულ-თეორეტეული და პრაქტიკული.

ლაბრატორიასთან უნდა მოეწყოს პერიოდიული კურსები ყოველ კატეგორიის ექიმ-ვეტერინარებისათვის, სადაც მათ მიეცემათ შეძლება შეისწავლონ მუცნიარულად სენთა არსებითა მხარეები და აგრეთვე გაეცნონ მათთან ბრძოლის სისტემა-მეთოდებსა.

რესპუბლიკის ვეტერინარ-სანიცარულ განყოფილებას აქვს თბილისში ვაკეზედ შესაფერი შენობა, თუმცა ჯერ დაუმთავრებელი, აქვს აგრეთვე ლაბორატორიისათვის საჭირო აპარატები და მოწყობილობა და ამ ლაბორატორიის ამუშავება მორიგი კითხვაა, რომელიც უნდა გადიჭრას ახლო მომავალში.

ამის გარდა დასავლეთ ევროპაში ერთ ეთრ ზომათ საქონლის გადამდებ სენთან საწინააღმდეგოდ და მეურნეობის დასაცავათ, მიღებულია შინაურ პირიტყვთა დაზღვევა, რომელსაც აქვს ორი მხარე: დაზღვევა გადამდებ სენებისაგან და სხვა არა გადამდებ სენებისაგან.

ზემო ნათქვამიდან ჩვენ გამოგვყავს შემდეგი დებულებანი:

1. საქონლის სხვა და სხვა გადამდები სენნი წარმოადგენენ ერთს უმთავრესს დაბრკოლებას საქონლის მოვლა-მოშენების საქმეში.

2. საქონლის გადამდებ სენთან ბრძოლას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ამისათვის აუცილებელია შემუშავდეს ყველასათვის სავალდებულო და იძულებითი საერთო კანონმდებლობა როგორც ნახსენებ სენთა, აგოეთვე პროფილაქტიურ წინასწარ ზომების შესახებ.

3. ვეტერინარ-სანიტარულ კანონ-პროექტების დამუშავებაში უნდა მიიღონ თანამშრომლობა როგორც საზოგადოებრივ დაწესებულებათა, აგრეთვე სხვა და სხვა ამ საქმეში დაინტერესებულ რესპუბლიკის მთავრობის უწყებათა წარმომადგენლებმაც.

4. ერობების და ქალაქების თვითმართველობანი ადგილობრივ აწესრიგებენ ვეტერინარ-სანიტარულ კანონების დაცვა-განხორციელებას.

5. მთავრობის ორგანოს ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას ევალება კანტროლი და ზედამხედველობა კანონების სისწორით ცხოვრებაში გაყვანაზედ და აღსრულებაზედ

6. ამისათვის საჭიროა არსებობა მთავრობის ვეტერინარ-სანიტარულ ცენტრისა და ერობების და ქალაქების ადგილობრივი ორგანიზაციებისა, როგორც აღმასრულებელი ორგანოებისა.

7. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამრეწველო საქონლის იმპორტს და აგრეთვე საქონლის კულტურულ ეკზემპლიარების შეძენას, ვინაიდან პირველს ხშირად მოსდევს სხვა და სხვა გადამდები სენი. უკანასკნელთ კი უფრო ტუბერკულოზი.

8. საჭიროა დაარსდეს ვეტერინარ-ბაკტერიოლოგიური ლაბორატორია, სადაც უნდა სწარმოებდეს მეცნიერული კვლევა-ძიება გადამდებ სენთან და მათ საწინააღმდეგო შრატების და ვაქცინების დამუშავება.

9. უნდა მოეწყოს ამა თუ იმ ფორმით შინაურ პირუტყვთა დაზღვევა.

ექიმი-ვეტერინარი ლაშხაური.

ხეხილის ბაღის გაპატივება.

ჩვენდა საუბედუროდ ეს დარგი მეცნიერებისა სრულიად შეუსწავლელია საქართველოში და იმედიც არა აქვს, რომ ახლო მომავალში რომელიმე მეცნიერმა გააშუქოს ეს საგანი. ხოლო ჩვენთვის აუცილებელად საჭიროა ეხლავე უპატრონოთ ჩვენს ბაღებს ე. ი. დაახლოვებით მაინც გავიცნოთ, რომელ ნიადაგს რა სასუქი სჭირია. ამის შესასწავლად საჭიროა მოვახდინოთ ცდა, რისთვისაც საჭიროა ვიცოდეთ წესი, რომელიც შემოღებულია სხვა და სხვა ქვეყნებში. ამიტომ აქ მოვიყვანე რამოდენიმე მაგალითი. პირველი მაგალითი შეეხება სამხრეთ რუსეთის მებაღეების რაიონში მომხდარ ცდას.

ცდა პირველი. საცად მინდვრად იყო აღებული 8 ნაჭერი, თვითეული მათგანი იყო 140 კვად. საჟენი.

I. (კანტროლი) შესადარებელი—გაუპატივებელი. II. 1) თომას—შლაკი 2 ფუთი. 2) 30% კალის მარილი 32 გირ. 3) გვარჯილა 20 გირ. III. 1) თომას—შლაკი 2 ფუთი. 2) 30% კალის მარილი 32 გირ. 3) გვარჯილა.

ცდა მეორე. მინდორი იყო დაყოფილი ოთხ ნაჭრად. 1-ლი ნაჭერი შესადარებელი უპატივოთ.

1) სუპერფოსფატი 30 გირ. 2) 30 % კალის მარილი 30 გირ. 3) გვარჯილა 15 გირ. ყველა ეს სასუქი ერთი მეორეში აურიეს. ხის ტანის დაშორებით ამოიღეს არხები. ამ არხებში ჩაჰყარეს 3-5 გირვანქა ერთმანეთში არეული სასუქი. თუ ხე პატარაა ეყოფა 3 გირ. მეტი სასუქის ჩაყრა დამოკიდებულია იმაზე თუ რამოდენაა ხე. სასუქი მოაყარეს ხეებს 15 აპრილს. მეორე ნაჭერზე გააპატივეს სულ 18 ხე. ამათში 15 ხე მსხალი იყო, 3 ვაშლი. შესადარებლად გაუპატივებელი დასტოვეს ორი ბლის ხე. ეს ბაღი ახალი გაშენებული იყო, სულ სამი წლისა და ჯერ ნაყოფი არ გამოელო.

ეს ნაჭერი გააპატივეს სუპერფოსფატით და 30 % კალის მარილით. გაპატივების წესი და სასუქის რაოდენობა ისეთივე იყო, როგორც მეორე ნაჭერზე. ნიადაგი გააპატივეს 20 აპრილს. გაპატივებული იყო 17 ვაშლი და 3 მსხალი. აქვე იყო დარჩენილი შესადარებლად გაუპატივებელი ხეები.

გააპატივეს სუპერფოსფატით და გვარჯილით. წესი და სასუქის რაოდენობა იმდენივე იყო როგორც 2 ნაჭერზე. ამ ნაჭერზედ გააპატივეს სულ 11 ვაშლი და 5 მსხალი.

ამ მეორე ცდამ მოგვცა ასეთი შედეგი: ყველა გაპატივებულ ხეებს ზრდა მოემატათ, რაც აშკარად ეტყობათ მსხლის ხეებს. ყლორტები გაიზარდენ 4—20 ვერშოკამდის, დამსხვილდა და არავითარი ნაკლი არ ეტყობოდათ. ფოთლები გამოიღეს დიდი, ხშირი ინტენსიურად შეღებილი და შემოდგომაზე გვიან დასცვივდათ.

დაუპატივებელ, შესადარებელ ხეებს ზრდა გაცილებით ნაკლები ჰქონდათ და შემოდგომაზე ფოთოლიც მალე დასცვივდათ. ამასთანავე შესანიშნავი ის არის, რომ გაპატივებულ მსხლის ხეებს შორის იყო ერთი ხე, რომელიც სრულებით არ იზრდებოდა უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში და არც ნაყოფს ისხამდა. გაპატივების შემდეგ ეს ხე გაჯანსაღდა, გამოიღო მრავალი ყლორტები სიგრძით $^1/_2$ არშინი და მეტიც. ეს საცდელი ბაღი იყო ახალი, რომელსაც ჯერ ნაყოფი არ გამოეღო. რომლებმაც კი გამოიღეს ნიშნები, პირველი ნაყოფი მშვენიერი ჰქონდათ. გაპატივებულ და გაუპატივებელ ხის ნაყოფებში დიდი განსხვავება იყო. ეს განსხვავება უმეტესად ეტყობოდათ მსხლის ნაყოფებს. რაც შეეხება იმას, თუ რომელი სასუქი უფრო საჭირო და სასარგებლოა ამ ცდამ დაამტკიცა, რომ მსხლისათვის უნდა ვიხმაროთ სამივე სასუქი: სუპერფოსფატი, 30 %,—კალის მარილი და გვარჯილა.

ვაშლისათვის საჭიროა ორი სასუქი: 30 % სუპერფოსფატი და კალის მარილი, ხოლო თუ ნიადაგი თიხნარია, მაშინ საჭიროა მიუმატოთ აგრეთვე გვარჯილა. საზოგადოთ შეგვიძლია გამოვიყვანოთ ამ ცდიდან ის დასკვნა, რომ მინერალური სასუქი ნიადაგის გასანოყიერებლად დიდი სასარგებლოა.

ცდა მესამე. მესამე ცდის დროს ბაღი დანაწილებული იყო ოთხ ნაჭრად. გაპატივების წესი, სასუქის რაოდენობა და შემადგენლობა ისეთივე, როგორიც წინა ცდაში. ბაღი ახალი დარგული იყო 3—5

წლისა. ბაღში იყო შემდეგი ჯიშის ხეხილი: მსხალი, ქლიავი, ვაშლი და ჭერამი. ყველა საცდელ ნაჭერში ხვდებოდა ყველა ჯიშის ხეხილი. ნიადაგის განყოვრება ხდება გაზაფხულის დამდეგს ან მაისის გასულს. აქ შეიძლება აღვწეროთ ყველა საცდელი ნაჭრის მდგომარეობა ე. ი. დაწვრილებით ჩამოვთვალოთ, რომელ ნაჭერზე რომელმა სასუქმა როგორ იმუშავა.

I ნაჭერი შესადარებელი დარჩა გაუპატივებელი. ამ ნაჭერზე ხეებს ფოთოლი გაყვითლებული ჰქონდათ, ზრდა ცუდი. ერთი შეხედვით ეტყობოდა, რომ ხე გაუნაყოფიერებული იყო და არ გავდა ჯანსაღ ხეებს.

II ნაჭერი გაპატივებული იყო სამივე პატივით: სუპერფოსფატით, 30 % კალის მარილით და გვარჯილით. გაპატივების შემდეგ ხეებს ზრდა ემატათ, ფოთოლი ინტენსიურად შეღებილი ჰქონდა და შემოდგომაზე ფოთოლი კიდევ ხეზე იყო. ამ ხეებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდენ მსხლის ხეები, რომლებმაც გამოიღეს მსხვილი ყლორტები და კარგი ფოთოლი. აგრეთვე შესამჩნევლად იმოქმედა პატივმა ქლიავზედ, რომელმაც გამოიღო $^3/_4$ არშინის სიგრძე ყლორტები, რაც იშვიათად ხდება.

III ნაჭერი გაპატივებული იყო მხოლოდ ორი სასუქით: სუპერფოსფატით და 30 % კალის მარილით. ამ ნაჭერზე გააპატივეს სულ 23 ხე. ამათში ქლიავი—1, ჭერამი—2, ვაშლი—14, მსხალი—6. გარდა ორი ხისა, ყველა ხეები იყვნენ 3 წლისა. აქ აშკარად ეტყობოდა კალის გავლენა ვაშლის ხეზე. აქ გამართლდა ის შეხედულება, რომ ვაშლს უფრო რგებს კალი, მანამ გვარჯილა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ აზოტი. საზოგადოთ ამ ნაჭერზე მინერალური სასუქის გავლენა ისეთივე იყო, როგორც სხვა ცდებში, მხოლოდ აქ აშკარად ეტყობოდა კალის გავლენა ვაშლის ხეებზე.

IV ნაჭერი გაპატივებული იყო: სუპერფოსფატით და გვარჯილით. გაპატივდა სულ 28 ხე: ქლიავი—3, ჭერამი—3, მსხალი—7, ვაშლი—15. აქაც მინერალური სასუქის გავლენა თვალსაჩინო იყო. გაპატივებული ხეები გაჯანსაღდენ, ყლორტები მშვენივრად გაიზარდნენ და ფოთოლიც ხშირი და კარგი გამოიღეს,

საერთოდ მესამე ცდამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდის. ყველაზე უფრო ნაყოფიერად მოქმედობს მცენარეებზე შერეული სუპერფოსფატი, კალის მარილი და გვარჯილა. უფრო მცირე გავლენას ახდენს როცა სასუქი შესდგება მხოლოდ სუპერფოსფატის და კალის მარილისაგან.

სუპერფოსფატით და გვარჯილით გაპატივებული ნიადაგი ნაკლებ შედეგს იძლევა, ვიდრე ზემოაღნიშნული.

ცდა IV. აქ ცდა მოხდა იმ გეგმით, როგორც პირველ ცდაში. მხოლოდ პატივი გაიშალა მთელ საცად ნაჭერზე, რის შემდეგ ეს მიწის ნაკვეთი დაიბარა ერთი ბარის სიღრმეზე; მთელი ზაფხულის განმავლობაში ბაღი ითოხნებოდა, ისე, რომ ბალახი არ იყო მოთიბული. ეს ბაღი იყო ძველი. ხის ტოტები ერთმანეთში იყო გადახლართული. ხეების წლოვანობა უდრიდა 30—40 წელს. ხეხილი იყო შემდეგი ჯიშისა: მსხალი, ვაშლი და ქლიავი. ეს ბაღი არც ერთხელ არა ყოფილა განოყივრებულ-გაპატივებული. მისი სივრცე უდრიდა 48 კვადრ. საჟ. გაპატივებამდის მთელი ბაღი გადაიბარა, შესადარებელ ნაჭერთან ერთად. სასუქი შეიტანეს ნიადაგში 15 აპრილს. მინერალური ნივთიერებით გაპატივებამ თვალსაჩინო შედეგი გამოიღო. იმათაც კი, ვისაც არა სჯეროდა მინერალური ნივთიერების გავლენა ნიადაგზედ, დაიჯერეს და თვითონაც შეუდგნენ ბაღის მინერალური ნივთიერებით განოყივრებას. ამასთანავე აშკარა შეიქმნა, რომ სამივე მინერალის სასუქით გაპატივებას უფრო კარგი შედეგი მოაქვს, ვიდრე მარტო სუპერფოსფატს და კალის მარილს ან და გვარჯილას. აქ პატივის მოქმედება მეორე წელიწადს უფრო თვალსაჩინო შეიქმნა ვიდრე პირველ წელში. ხეებს სიცოცხლე დაეტყოთ, ყლორტები ხარბად გაიზარდნენ და ფოთოლიც კარგი და საღი გამოიღეს, ნაყოფი ბევრი და კარგი მოისხა.

ცდა V. აქ ცდა მოახდინეს რიგზე დარგულ ხეებზე. რიგი იყო სულ ოთხი. თითო რიგში იყო 17—19 ხე. ამათში მხოლოდ სამი რიგი გაპატივეს, მეოთხე დასტოვეს შესადარებლად. ამასთანავე ყოველ რიგში დასტოვეს 1—2 ხე უპატივოდ. შერეული სასუქი შეჰქონდათ თითო ხის ნიადაგში 3—5 გირვანქა, იმ წესით, როგორც პირველ ცდებში.

I რიგი შესადარებელი—უპატივოთ. რიგი—II 1) სუპერფოსფატი, 2) 30% კალის მარილი და 3) გვარჯილა. რიგი III სუპერფოსფატი და 30% კალის მარილი. რიგი IV სუპერფოსფატი და გვარჯილა. ნიადაგი გააპატივეს აპრილში. ხეები იყო 4—10 წლამდე. მეორე შემთხვევაში, როცა სასუქი შესდგებოდა სამივე მინერალური ნივთიერებისაგან ძალიან კარგი შედეგი მოახდინა ვაშლის ხეებზედ. მეტადრე იმოქმედა ერთს ხეზედ, რომელსაც შესამჩნევად ემატა ზრდა და ფოთოლიც კარგი გაიკეთა.

მესამე შემთხვევამ დიდი გავლენა იქონია ალუბალზედ. თუ შევადარებთ წლევანდელს ხეხილის ზრდას შარშანდელთან ან კიდევ გაუ-

პატივებელ ხეებთან, დავინახამთ დიდს განსხვავებას. საერთოდ გავლენა ძალიან დიდ იყო. პატივის გავლენა უფრო ეტყობოდა მსხლის ხეებს. ერთ მსხლის ხემ, რომელიც სრულებით უნაყოფოდ ითვლებოდა გამოიღო $1^1/_2$ არშინიანი ყლორტები. რომელ ხეზედაც ნაყოფი გამოვიდა ძალიან კარგი თვისებისა იყო და შედარება არ შეიძლებოდა შარშანდელ ნაყოფთან. გამომცდელის აზრით უფრო დიდს გავლენას იქონიებდა პატივი, რომ ნიადაგი გაპატივებული შემოდგომაზედ ან ადრე გაზაფხულზედ ყოფილიყო.

ცდა VI. ამ ცდისათვის აღებული იყო 6 ხე; ყველა სამ-სამი წლისა. ამათში სამი ხე იყო ვაშლი, 3 მსხალი. სასუქი მისცეს თითო ხეს შემდეგი ანგარიშით:

1) სუპერფოსფატი . . . . . 3 გირ.
2) 30% კალის მარილი . . . . . 3 „
3) გვარჯილა . . . . . $1^1/_2$ „

სასუქ ნიადაგში შეტანის წესი ისეთი იყო, როგორც პირველად. შემოდგომაზედ, როცა შეადარეს გაპატივებული ხეები დაუპატივებელთან მიიღეს შემდეგი შედეგი: განოყივრებული ხეები ჯერ ისევ მწვანე ფოთლით იყო შემოსილი, მაშინ, როდესაც გაუნოყივრებელ ხეებს ფოთოლი გასცვივდათ. ყლორტები გაპატივებულ ხეებზედ შესამჩნევად კარგი და დიდი იყო, ვიდრემდის საპატივებელზედ. ზოგზედ ახალი ყლორტები სრულიად არ ეტყობოდა.

რასკვირველია ერთი-ორი წლის ცდით კაცს არ შეუძლიან სრული და შეუცდომელი დასკვნა გამოიყვანოს, მაგრამ ამ საბუთებით, რომელსაც ერთი ორი წლის დაკვირვება მოგვცემს შეგვიძლიან თამამად აზრი შევადგინოთ მინერალური სასუქის მნიშვნელობის შესახებ. აი ეს აზრი: ხელოვნური სასუქი—სუპერფოსფატი, 30% კალის მარილი და გვარჯილა ხეებზედ დიდს გავლენას ახდენს, ხის ზრდაზედ, ნაყოფის სიმრავლეზედ და მის ღირსებაზედ. გავლენა ეტყობა აგრეთვე ყლორტების სიმრავლეს და მის ხარისხს, სანაყოფო კვირტების გამრავლებას ჯანსაღებას, ფოთლების სიდიდეს და სიმრავლეს. ყლორტები განოყივრებულ ხეხილს ყოველთვის გრძელი და მომსხო აქვს, რომლებიც თავის დროზედ ასრულებენ ზრდას. ფოთლები მუქი ფერისაა და ინტენსიურადაა შეღებილი, რომელიც შემოდგომაზედ დიდ-ხანს რჩება ხეებზედ.

(გაგრძელება იქნება). **მ. ქარცივაძე.**

სტიქიურ უგედურეგის შედეგეგი სიღნაღის მაზრაში.

ის მრისხანება ბუნებისა, რომელიც თავს დაატყდა სიღნაღის მაზრას ამა წლის მაისის 29, თავისი გამანადგურებელი შედეგებით, არ ახსოვს წარსულიდან ჩვენს თაობას. მაზრაში არსებულ 26 თემიდან, მხოლოდ 4 გადარჩა უბედურებას—ეს არის: ქედის, ლაგოდეხის, ჭაბუკიანის და ბაისუბნის თემები. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ალაზან გაღმა რაიონმა ნაკლებად განიცადა ამ დღის საშიშროება; სეტყვა ამ რაიონში მსუბუქად იყო, მაგრამ მინდვრის მოსავალი აქაც შესამჩნევად დაზიანდა. მიზეზი განუწყვეტელი წვიმები იყო, რომელმაც ალაღებული ყანები ჩააწვინა ბევრგან და ჩაალპო. დანარჩენმა ოცდა ორმა თემმა მეტ-ნაკლებობით ყველამ განიცადა ამ დღის საშიშროება და მისი მაზარალებელი შედეგები. სეტყვა ამ 22 თემში ყველას არ მოჰხვედრია ერთნაირი სიძლიერით—გამანადგურებელი იყო იგი შემდეგ თემებისთვის: **კაჭრეთის** (განსაკუთრებით ს. ჯიმითი) თავისი საუკეთესო ხარისხის პურის ცნობილ ხოდაბუნებით. ეს თემი, რომ იტყვიან, მიწასთან გაასწორა; მისივე მეზობელი თემი **არაშენდისა**, შემდეგ **ზ. მაჩხაანისა**, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ თუ ქიზიყს საქართველოს ბეღელს უწოდებენ, ზემო მაჩხაანი ქიზიყის ბეღელი უნდა იყოს; ამ სოფელს უჭირავს დიდი და საუკეთესო ნაწილი პურის სამშობლო—შირაქისა (დიდი შირაქი) და სწორედ ამ სოფელზე და მის მინდვრებზე დაანთხია მთელი თავისი მრისხანება სეტყვამ. შემდეგ მოდის ჯუგაან—ტიბაანის თემები. აქ სეტყვამ საფუძვლიანად გაანადგურა კახური ღვინის საუკეთესო რაიონი **ხირსა** და ბუათის ნაწილი, ეს საუკეთესო კულტურული კუთხე. ხირსის მონაწილეა ორი დიდი სოფელი: ტიბაანი და ქ. მაჩხაანი. ამ უკანასკნელსვე დაესეტყვა თავისი კოლონია ყარაღაჩი, სადაც წინად კალოები ჰქონდათ მხოლოდ და დღეს კი მუდმივი მოსახლეობა ჩნდება. ეს ის ყარაღაჩია, რომელსაც მედიდურად დაჰყურებს თავზედ თამარის ცნობილი ციხე და ყონღოთის მთა და რომელიც ოდესმე რეზიდენცია იყო სპარსეთის შაჰის მიერ წარმოგზავილ კახეთის მმართველებისა. იქ, სადაც არ მოხვდა ძლიერი სეტყვა და სადაც მას დიდი ზარალი არ მოუტანია, იქ ნიაღვარმა დაასრულა. ამ ორ შეერთებულ სტიქიურ ძალთა მრისხანებას კი ვეღარ ასცდა თითქმის ვერც ერთი კუთხე ჩვენი მაზრისა. საერთოდ შემდეგშიაც დიდ საშიშროებას უქადის ჩვენი მაზრის სოფლებს წყალდიდობა (ხევ-დიდობა). მთის კალთებზე გაშენებული ჩვენი სოფლები, რომლებიც დასერილია მთებიდან ჩამონავალ ხევებით, ყოველი ხშირი წვიმის დროს ახალ-ახალ უბედურების მოლოდინში უძლურნი არიან შეებრძოლონ მოზღვავებულ ღვარს. ბოდბისხევი ქიზიყში ერთ-ერთ

თვალსაჩინო სოფლად ითვლება; ხევის პირებზე ჩამწკრივებულია მოსახლეობა; საშუალო ტიპის ქვიტკირიან სოფლური სახლები, ხშირად ორ-სამ სართულიანი მოხდენილი შენობებიც და იქვე ხევის პირას, თითქმის ყველა სახლთან ხეხილის პატარა ბაღები და ბოსტნები. დღეს ეს ხაზი რიყედ არის ქცეული. ბევრი საცხოვრებელი სახლები, სავაჭროები, კალო-საბძელი და სხვა შენობები მოგლეჯილია ღვარისაგან, წაღებული. ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ თვალუწვდენელ კლდის სიმაღლეზე არწივის ბუდესავით მიკრული, უნუგეშოდ გადმოიყურებიან სახლები. გუშინ მის მდგმურებს ჰქონდათ მისასვლელი, საურმე გზებიც, როგორც ყველას, ჰქონდათ დამოკიდებულება გარემოსთან, დღეს კი იგინი მოწყვეტილნი არიან ქვეყანას. ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს პატარა ხევები ისე აზღვავდებოდნენ, რომ შეეძლოთ ერთის დაკვრით მოეგლიჯათ ორსამ თვლიანი ფიცრული სადუქნე შენობები „ბალიაანთ წყალთან“ რომ იდგა და ღვარის ტალღებს ½ ვერსტის მანძილზედ ნაფოტივით ეთამაშებინა, ვით ზღვაზედ საბედისწეროდ განწირული ხომალდი, ეს მთლიანი შენობები, მთელი მისი შინაგანი მოწყობილობით და შეშუდით, ვიდრე კლდეზედ შეხეთქებით არ დაშლიდა მათ.

ასეთი ბედი ეწვია ბევრ სხვა სოფლებსაც და განსაკუთრებით კი ჯიმითკაჭრეთს, არაშენდის თემს, ანაგას, ხირსას, ქ. მაჩხაანის ახალშენ-ყარაღაჩს, ჯუგაანს, წნორს და სხვას.

სამაზრო ერობის გამგეობამ მაშინათვე მიიღო ზომები, რომ აღნუსხული და გამოკვლეული ყოფილიყო ამ სახალხო უბედურების შედეგები. ამ საქმეში მას დახმარება გაუწია ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა და ამ უკანასკნელის მიერ გამოგზავნილ ძალებით ერთი კვირის განმავლობაში მოხდა დაწვრილებითი აღნუსხვა სეტყვისა და ნიავღვრისაგან გამოწვეულ ზარალისა ჩვენს მაზრაში.

როგორც ქვემოდ მოყვანილი ცხრილიდან მკითხველი დაინახავს, თემების ზარალი შემცირებულად არის წარმოდგენილი; ეს გასაგებიც არის, რადგან იმ წესით, როგორც მიღებული ჰქონდა კომიტეტს, ძნელი იყო მის თანამშრომელთათვის ზედმიწევნით აღნუსხვა ზარალის თვითეულ შემთხვევისა იმ დროს, როდესაც მთელი ხალხი მიუხედავად ამ დეფექტებისა, გამოკვლევა მაინც სწორ სურათს იძლევა ამ სახალხო უბედურებისას.

ამრიგად მთელ მაზრაში დაზარალდა სეტყვისა და ნიაღვრისაგან 7520 კომლი, რაც შეადგენს მაზრის მთელი მოსახლეობის 27, ₀% დაზარალებულ ვენახების სივრცე, როგორც იყო აღნიშნული, უდრის 1106₀₀ დესეტინას ე. ი. 13,35% მაზრებში არსებელ ვენახების საერთო სივრცისას, ხოლო დაზარალე-

ბულ ნათესების სივრცე კი შეადგენს 15585,16 დესეტინას ე. ი. დაახლოვებით 25% მიმდინარე სას.-სამ. წელს მაზრაში მოხნულ-მოთესილ მიწის საერთო სივრცისას.*)

ამ გამოკვლევის შედეგები ასეთია:

	დაზარალ-და მთელი მოსისხლეობის %	სეტყვის და ნიაღვრისაგან დაზარალდა (დესეტინობათ)	
		ვენახი	ნათესები
ანაგის თემში	9,4	13,99	95,22
ახაშნის „	7,1	1,01	50,71
არაშენდის „	60,6	54,67	1253,26
ბოდბის „	57,2	—	902,00
ბოდბისხევ. „	40,0	147,00	477,25
ვარდის უბ. „	26,7	0,5	293.00
ვაქირის „	7,0	4,0	126,00
ველის ციხ. „	7,3	52,33	27,88
ზემო მაჩხაანის	6,2	93,96	1865,35
ბაკურციხის „	28,2	52,15	227,53
გურჯაანის	7,7	63,55	75,53
დედოფ. წყარ.	60,4	0,38	2656,07
კარდენახის	7,3	36,40	65,89
კაკაბეთის	13,3	94,69	195,50
კაჭრეთის	79,4	314,13	2762,28
მაღაროს	26,4	0,08	631,73
მირზაანის	54,5	7,44	1701,03
მუღანლოს	66,1	—	478,00
საქობოს	7,4	0,30(?)	4,05 (?)
ქვემო მაჩხაანის	29,4	38,75	201,66
ტიბაანის	94,07	81,58	774,98
ჯუგაანის	87,5	50,0	720,
		1106,36	15585,16

*) მიმდინარე წლის ნახნავების სივრცე აღებულია ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის ცნობების მიხედვით, ხოლო ჩვენი ცნობებით კი ნახნავების სივრცე წელს გაცილებით მეტია, ვიდრე ეს უნდა იყოს კომიტეტის გამოანგარიშებით, და მაშინ იგივე 15585 დესეტ. დაზარალებული ნათესი, ჩვენის აზრით, არ უნდა შეადგენდეს საერთო სივრცის 15% მეტს.

მ. ყ.

ამ უკანასკნელ რიცხვიდან დიდი უმეტესობა, სახელდობრ 96% საპურე მცენარეებზედ მოდის (ხორბალი, ქერი, სიმინდი და ფეტვი) და დანარჩენი 4% სხვა და სხვა ნათესობაზედ (კარტოფილი, მზეუჭვრიტა, თამბაქო, ლობიო და სხვა); ხოლო ამავე 15585. დესეტინიდან მარტო ხორბლის მცენარე შეადგენს 67%—ს.

რაც შეხება დასეტყვილ ნახნავების ხელმეორედ გადახვნას, ეს ვერ მოხერხდა, რადგან ჩვენი მაზრის პირობებში უკვე დაგვიანებული იყო და გარდა ამისა გამუდმებული წვიმები შეუძლებლად ხდიდნენ ნახნავებში გუთნის შეტანას. მიუხედავათ ამისა მაინც მოუსწვრიათ ხელახლად დაეთესათ 82,75 დესეტინა (უმთავრესად კაჭრეთის თემში.)

მაგრამ ზარალი მარტო ამით არ განისაზღვრება; ძნელია მრავალ წვრილმანის ჩამოთვლა, რომელთაც თუმცა კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ამ შემთხვევაში კი იმდენად არა. ზოგიერთ თვალსაჩინო ცნობებს ჩვენი მასალებიდან მაინც მოვიყვანთ.

> უკვე მოხსენებულის გარდა დაზარალდა მთელ მაზრაში: ხეხილის ბაღები და ბოსტნები 330,59 დესეტ.; სათიბები—292,75 დესეტ. ნიაღვარმა მოიტაცა: მსხვილფეხი საქონელი 91 სული, წვრილფეხი საქონელი—94; ღორები—271 და შინაური ფრინველი—1338 ფრთა. ღვარმა დააქცია და წაიღო 121 შენობა (აქედან 48 ბოდბისხევში) დააზიანა 103 შენობა.
>
> იყო აგრეთვე ადამიანის მსხვერპლიც: ყარაღაჩში (ქ. მაჩხაანი) დაახრჩო ნიაღვარმა 3 კაცი, ქოდალოში— ერთი 41 წლის მამაკაცი ოავისი 11 წლის შვილით და დედოფილის წყაროზედ—სამი ბავშვი-მწყემსი.

საინტერესო იყო აგრეთვე გვცოდნოდა თუ რას წარმოადგენდა მთელი მაზრის ზარალი, ფულად რომ გამოგვეხატა. ამ მიზნით ჩვენ მოვახდინეთ შეფასება მაისის პირველ რიცხვებში ადგილობრივ არსებულ ფასების მიხედვით. შეფასების ერთეულად ვიღებდით წლიურ საშუალო მოსავლიანობას და ვცდილობდით შეფასების ნორმები გადაჭარბებული არ ყოფილიყო, ასე რომ ჩვენ მიერ მიღებული ციფრები გაზკიადებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ამ შეფასების მიხედვით მთელი მაზრის ზარალი ფულად გამოიხატება შემდეგში:

ვენახებიდან ზარალი უდრის . .	146.124	ათას მანეთს
ხეხილის ბაღებიდან და ბოსტნ. . .	21.846	„ „
ნახნავ—ნათესებიდან	593.923	„ „
სხვა დს სხვა შენობებიდან . . .	24.000	„ „
ოთხ-ფეხი საქონლისა და ფრინვ. .	3.240	„ „
მრავალი სხვა ზარალი (საოჯახო ნივთები, საშენებელი მასალა, სამეურნეო იარაღები, სათიბები და სხვა) . .	4.094	„ „
სულ . .	793 227	ათასი მან.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭაბუკიანის თემი არ არის შეტანილი ამ გამოკვლევაში, რადგან 29 მაისის უბედურებას, რომელსაც მხოლოდ შეეხება აქ მოყვანილი ცნობები, იგი გადურჩა. მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგში, სახელდობრ, 14 თიბათვეს, როდესაც ზარალის გამოკვლევა მაზრაში უკვე დამთავრებული იყო, ჭაბუკიანის თემსაც ეწვია საშინელი სეტყვა და ნიაღვარი. დაწვრილებითი ცნობები ამ ჟამად ხელთ არა გვაქვს, მაგრამ წინასწარ მიღებულ ცნობებით კი ზარალი აქაც დიდია. ამის შემდეგ კი აღარ რჩება მაზრაში თითქმის არც ერთი კუთხე, სადაც სტიქიურ უბედურებისაგან ზარალი საგრძნობი არ იყოს.

მ. ყოჩიაშვილი.

P. S. წერილი უკვე დამთავრებული გვქონდა, როდესაც მივიღეთ ოფიციალური ცნობა, რომ 11 ივლისს დაისეტყვა გურჯაანის რაიონის ზოგიერთი სოფლები: თვითონ გურჯანი, ვეჯინი, კოლაგი და ჩუმლაყი. დაწვრილებითი ცნობები ჯერ ხელთ არ გვაქვს, მაგრამ როგორც იტყობინება ადგილობრივი თემი, ზარალი დიდია.

მ. ყ.

ერობათა კავშირის განსაკუთრებული კომისია.

ერობათა კავშირის კომიტეტმა განიზრახა სამაზრო ერობების და თემების ადგილობრივი მუშაობის შესწავლა. ამ მიზნით მან შეადგინა განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შედიან: კომიტეტის წევრი გრ. სოგორაშვილი, მ. სმირნოვი და სტ. კონ.

კომისიამ შეაგროვა საჭირო მასალები და ივნისის დამლევს დაიწყო მოგზაურობა. მან შეისწავლა ადგილობრივ ერობების მუშაობა ტფილისის, ქუთაისის, ლეჩხუმის, რაჭის, დუშეთის, თიონეთის, თელავის და სიღნაღის მაზრებში. გარდა ამისა კომისია ეცნობა თითოეულ მაზრაში რამოდენიმე თემის მუშაობას.

თემების ხმოსნები ყველა ჩამოთვლილ მაზრებში უკვე ამორჩეულია, მხოლოდ ლეჩხუმის, რაჭის და თიონეთის მაზრებში თემების გამგეობები ჯერ (აგვისტოს პირველ ნახევარში) სხვა და სხვა მიზეზების გამო არჩეული არ არის.

უმთავრესი შთაბეჭდილება ამ მოგზაურობიდან ის არის, რომ ერობამ უკვე მკვიდრათ განიდგა ფესვი ხალხის ცხოვრებაში; თუმცა როგორც ვიცით, პირველათ ამორჩეული ერობები სულ ორი წელიწადია რაც მუშაობენ. ხალხი ისე მიდის ერობის გამგეობაში, როგორც საკუთარ დაწესებულებაში, სადაც მას ყურადღებით მოუსმენენ და სათანადო პასუხს მისცემენ.

როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული ჩვენს პრესაში, საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენს ერთად ერთ სახელმწიფოს, რომლის მთავრობა განაგებს ადგილობრივ საქმეებს საკუთარ მოხელეების (ჩინოვნიკების) დაუხმარებლათ. და მართლაც ერობა განაგებს თითქმის ყველა სახელმწიფოებრივ საქმეებს: ადმინისტრატიულს, ეკონომიურს, სწავლა-განათლების და საზოგადოთ კულტურულ საქმეებს. ერობა —ჯარის მობილიზაციის, და სამხედრო პირთა ჯარში გაწვევის საქმეებში

ილებს უახლოეს მონაწილეობას. ერობას დაკისრებული აქვს აგრონომიული, ტეხნიკური და მრეწველობის საქმეები, თავის ტერიტორიის ფარგლებში.

გარდა ჩვეულებლივ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმეთა ერობებს თავიდანვე დააწვა ორი საკითხის სიმძიმე.

პირველი არის ანარქიულ გამოსვლებთან ბრძოლა, სადაც ერობა ჩვენ გვარდიასთან ერთად მუშაობდა და ყოველ ღონისძიებას ხმაროობდა საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლათ.

მეორე დიდი ისტორიული საქმე არის აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება. გარდა სპეციალისტ მიწებ მზომლებისა, რომელთაც აგზავნის მიწათ-მოქმედების სამინისტრო, ამ ერთულ საქმეს ერობები აწარმოებენ.

რეფორმის პირველი ნაწილი ე. ი. მიწის ჩამორთმევა თითქმის დამთავრებულია. რაც შეეხება რეფორმის მეორე ნაწილს ე. ი. ფონდის მიწის განაწილებას სხვა და სხვა მაზრებში სხვა და სხვა საფეხურზე დგას. მაგალითად რაჭის მაზრაში მიწის განაწილების საქმის მოგვარება შეუძლებელი ხდება, რადგანაც ფონდში არის სულ ასიოდე დესიატინა მიწა. საზოგადოთ განაწილების საქმეში ერობები გულმოდგინედ მუშაობენ და სცდილობენ უმტკივნელათ ჩაატარონ ეს რეფორმა.

საზოგადოთ ადგილობრივ მუშაობის გამო უნდა აღვნიშნოთ, რომ სამაზრო ერობებს სათავეში უდგანან ადგილობრივი დემოკრატიის საუკეთესო ძალები, რაც კიდევ ერთხელ ამართლებს, რომ საყოველთაო არჩევნები არის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საუკეთესო პანაცეია.

მწყობრათ, ბეჯითად, სხვა დემოკრატიულ დაწესებულებებთან სრული სოლიდარობით და შეთანხმებით მუშაობს ერობა, რაც გვაძლევს სრულ გარანტიას, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების მსვლელობა სწორ გზაზე დგას.

გ. ს.

საქართველოს ტერიტორიის დაყოფის პროექტი.

დამფუძნებელ კრების თვითმართველობის კომისიამ მიიღო ბ. კ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი პროექტი საქართველოს ტერიტორიის ახალი საადმინისტრაციო ერთეულებათ (ოლქებად) დაყოფისა. საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ სულ მოკლედ პროექტის შინაარსი.

ტერიტორია დაყოფილია სულ 19—ოლქად...

1) **ტფილისის ოლქი**, რომელსაც გარდა ეხლანდელი ტფილისის მაზრისა მიემატება კიდევ მცხეთის ყოფილი საპოლიციო უბანი, გარდა ოთხი სოფლისა. თიანეთის მაზრიდან მიემატება ს. ერწო, ბორის მაზრიდან ქვემო ნიჩბისის სოფლის საზოგადოება, სიღნაღის მაზრიდან სოფ. ჩაილური და კაკაბეთი, ბორჩალოს მაზრიდან სანდარის რაიონი დაწყებული არუხლოდან წითელ ხიდამდე. ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ქ. ტფილისში**. 2) **ბორის ოლქში** შედის ეხლანდელი ბორის მაზრა, სოფ. ქვემო ნიჩბისის, წონის, ერწოს და სისპათანის გამოკლებით; ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ქ. ბორში**. 3) **ანანურის ოლქი**—ეხლანდელი დუშეთის და თიანეთის მაზრები გარდა იმ ნაწილისა, რომელიც უერთდება ტფილისის და თელავის ოლქებს. ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ს. ანანურში**. 4) **თელავის ოლქი**, რომელსაც გარდა ეხლანდელი თელავის მაზრისა კიდევ ემატება: თიანეთის მაზრიდან ყოფილი თუშ-ჯახეთის საპოლიციო უბანი, ხოლო სიღნაღის მაზრიდან სოფ. მუკუზანი, ველის ციხე, ზეგაანი და ჭერამი. ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ქ. თელავში**. 5) **სიღნაღის ოლქი**, რომელშიაც შევა სიღნაღის მაზრა გარდა იმ ნაწილებისა, რომელიც უერთდება ტფილისის და თელავის ოლქებს, საზღვრების საბოლოოდ აღდგენისა და გამორკვევის შემდეგ ამ ოლქს მიემატება კიდევ ქვემო-ყარაიაზის ველები ფოილოს ხიდიდან ალაზნის შესართავამდე და ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სექტორი, ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ქ. სიღნაღი**. 6) **ახალციხის ოლქი**, რომელშიაც შევა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები და ფოცხოვის რაიონი, ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ქ. ახალციხე**. 7) **ბორჩალოს ოლქი**, რომელშიაც შევა ეხლანდელი ბორჩალოს მაზრა გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც უერთდებიან ტფილისის ოლქს. ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **სოფ. ქვეში**. 8) **ქალაქი ტფილისი**. 9) **ქუთაისის ოლქი**, რომელშიაც შევა ეხლანდელი ქუთაისის მაზრა გარდა ს. სვირის რაიონისა, რომელიც ემატება ზესტაფონის ოლქს, ემატება ოზურგეთის მაზრიდან სოფ. ნოღა და ტოლები, ხოლო სენაკის მაზრიდან ს. გულეიკარი ადმინისტრატიული ცენტრი იქნება ქ. **ქუთაისი**. 10) **ზესტაფონის ოლქი**, რომელსაც გარდა შორაპნის მაზრისა ემატება ქუთაისის მაზრიდან სვირის რაიონი, სოფ. სვირი, სვეტ-მაღალი და როდინოული. ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ქ. ზესტაფონი**, 11) **ოზურგეთის ოლქი**, რომელშიაც შევა ეხლანდელი ოზურგეთის მაზრა სოფ. ნოღასა და ტოლების გამოკლებით, ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ქ. ოზურგეთი**; 12) **სენაკის ოლქი**,-ეხლანდელ სენაკის მაზრას საზღვრების

შემდეგი ცვლილებით ემატება ზუგდიდის მაზრიდან მდინარე ხობისა და ზან შუა მდებარე რაიონი, ხოლო აკლდება სოფ. კურზუ, გორდის რაიონი და სოფ. გულეიკარი. ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ახალსენაკში. 13) ზუგდიდის ოლქში**—შედის ზუგდიდის მაზრა გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მიემატა სენაკის ოლქს ხოლი ემატება სოფ. კურზუ, ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ქ. ზუგდიდი. 14) ონის ოლქი**, რომელსაც გარდა რაჭის მაზრისა ემატება გორის მაზრიდან სოფლები: წინა ერწო და სისპათანი. ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ქ. ონი. 15) სოხუმის ოლქი**, რომელშიც შევა გარდა სოხუმის ოლქის ეხლანდელი საზღვრებისა მაზრის რაიონი. ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ქ. სოხუმი. 16) ცაგერის ოლქი**, რომელშიაც შევა გარდა ეხლანდელი ლეჩხუმის მაზრისა სენაკის მაზრიდან გორდის რაიონი. ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ი. ცაგერი. 17) ბათუმის ოლქი**—ბათუმისა და ართვინის ოლქი. ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **ბათუმი. 18) არტაანის ოლქში** შედის არტაანის ოლქი, გარდა ფოცხოვის რაიონისა და ოლთისის ოლქისა. ადმინისტრატიული ცენტრი იქნება **დ. არტაანი** და **19) ზაქათალის ოლქი**—ეხლანდელი ზაქათლის ოლქი გარდა ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სექტორისა. გარდა ამისა პროექტში მოყვანილია თვითეული ტერიტორიის სივრცე კვადრატ. კილომეტრებით და აგრეთვე მოსახლეობა სასოფლო სამეურნო აღწერის ცნობების მიხვედვით.

გ-ლი.



პასუხი შენიშვნა.

ჟურ. „მხედრის“ № 10-ში მოთავსებულია წერილი „ერობათა საყურადღებოდ,“—რომელშიაც აღნიშნულია რამოდენიმე ამბავი ერობის წარმომადგენლების ცუდად მოქცევისა ომში გაწვეულ ჯარისკაცთა გაჭირვებულ ოჯახების დახმარების თუ დაუხმარებლობის საქმეში.

ამ ამბების გადმოცემის სისწორის პასუხის მგებლობა, რა თქმა უნდა ავტორმა უნდა იკისროს. ხოლო ერობის სათანადო ორგანოები თავისთავად ცხადია, დაუყონებლივ მიაქცევენ ამ გარემოებას ყურადღებას, გამოიკვლევენ საქმის გარემოებას და ღირსეულად დასჯიან ბოროტმოქმედებს, სადაც და რა სახითაც უნდა აღმოჩნდეს იგი.

ქრონიკა

დამფუძნებელ კრებაში.

დამფუძნებელმა კრებამ მიიღო:

კანონი ქალ. ახალქალაქის ორმოცდა ათ საწოლიანი საავადმყოფოსი და ახალქალაქის მაზრის სოფ. ბარალეთისა, ოკამისა და გორელოვკის ამბულატორიების შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

— დეკრეტი სამხედრო საავადმყოფოების ქალაქისა და ერობის თვითმართველობათათვის გადაცემისა.

— დეკრეტი ქ. სიღნაღის თვითმართველობისათვის 2.000.000 მან. მიცემისა.

— დეკრეტი ქ. გორის გასაშენებლად თავისუფალი კერძო მიწების ჩამორთმევისა

— დეკრეტი ქ. გორის სკოლების აღსადგენად 20.000.000 მანეთი გადადებისა.

— დეკრეტი სენაკის მიწის ერობისთვის 480,000 მან. სამელიორაციო სესხის მიცემისა.

— დეკრეტი ქ. ტფილისის თვითმართველობისათვის 50.000.000 მან. სესხის მიცემისა სასურსათო განყოფილების ოპერაციების გასაფართოებლად.

— დეკრეტი ქ. ქუთაისის თვითმართველობისათვის 1.0000.000 მან. სესხის მიცემისა.

მთავრობაში

სასოფლო სამეურნეო განყოფილება.

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ დამფუძ. კრებაში დაბალ და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების პროექტი წარადგინა. კანონ-პროექტი ითვალისწინებს თითო თითო საშუალო სამეურნეო სასწავლებლის გახსნას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. გარდა ამისა ერთი შკოლა უნდა გაიხსნას საშუალო ზონაში და ერთიც კახეთში. ამ გეგმის განსახორციელებლად მიწათ-მოქმედების მინისტრს განზრახვა აქვს გადააკეთოს ტფილისში არსებული საშუალო კულტურულ-ტეხნიკური შკოლა სამეურნეო შკოლად მემინდვრეობის, მებაღეობის, მესა-

ქონლეობის და ჰიდრო-ტეხნიკურ განყოფილებებით. ასეთივე ტიპის სასწავლებლად უნდა გადაკეთდეს ქუთაისის დაბალი სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი. სწავლის ვადა 4 წელიწადია. სპეციალური განათლება მხოლოდ მეოთხე სემესტრიდან უნდა დაიწყოს. მანამდი კი მოწაფეებმა საერთო განათლება უნდა მიიღონ.

— —

ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვა. ფინანსთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ფუფუნების საგნების შემოტანის აკრძალვის შესახებ. პროექტის განმარტებით ბარათში ფინანსთა მინისტრი აღნიშნავს ეკონომიურ მდგომარეობის მეტყეობას, რასაც იმით ხსნის, რომ საქონელი ჩვენში მეტი შემოაქვთ, ვიდრე აქედან გააქვთ. ეს მოვლენა არის აგრეთვე უმთავრესად მიზეზი ფულის კურსის დაცემისა. ქართულ ბონების კურსის განსამტკიცებლად სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია ვალიუტის შექმნა და ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცება. ყველა ამისათვის კი აუცილებელია შემოსატან საქონლის შემცირება ერთის მხრივ და გასატან საქონლის გაძლიერება მეორეს მხრივ. არსებული მომქმედი კანონი ვერ არის ფუფუნების საგნების შემოტანის შემზღუდველი. ამის გამო საქართველოში შემოდიოდა გამოუსადეგარი საქონელი, რაც ამძიმებდა ჩვენს ბალანსს. ამ გამოუსადეგარს საქონელს ასაღებდენ საქართველოში და აღებული ფულით ყიდულობდნენ ნედლ მასალას, ან ოქროს და მიეზიდებოდნენ მას საზღვარგარეთ. სახელმწიფოს ეკონომიურ კეთილდღეობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ფუფუნების ზოგიერთი საგნების შემოტანა აიკრძალოს. ასეთი ზომა არა მარტო სახელმწიფო ბალანსის საქმეს გააუმჯობესებს, არამედ ეროვნულ მრეწველობის აღორძინებასაც ხელს შეუწყობს. ფინანასთა მინისტრის მოხსენებას თან ახლავს სია იმ საქონელთა, რომელთა შემოტანაც უნდა აიკრძალოს.

— —

აბრეშუმის წარმოება. მომარაგების სამინისტროს მეაბრეშუმეობის მთავარმა რწმუნებულმა მომარაგების მინისტრს აბრეშუმის პარკის ოპერაციების შესახებ მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ასეთი ოპერაციები უკვე თავდება. გამომშრალ პარკს აგროვებენ სამტრედიის ცენტრალურ საწყობში. ზოგიერთ რაიონებიდან წინადადებას იძლევიან შევიძინოთ წარსული სეზონების გამოშშრალი პარკი. მაგალითად ზუგდიდის სამაზ-

რო ერობა ასი ფუთი პარკის მოყიდვის წინადადებას გვაძლევს. საერთოდ აბრეშუმის პარკის კომპანია მიმდინარე წელს დამაკმაყოფილებელი იყო.

——

ავადმყოფობის საწინააღმდეგო ზომები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაფუძნებელ კრებაში შეიტანა პროექტი მოარულ სენის გავრცელების წინააღმდეგ საჭირო თანხის გადადების შესახებ. პროექტში აღნიშნულია, რომ სტამბოლსა და ყირიმში ხოლერით ავად გახდომის შემთხვევებია. საშიშია, რომ იგი საქართველოში გავრცელდეს. ამ მხრივ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ტფილისსა და ბათომს. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ჯანმრთელობის უწყება ამ მიზნისთვის 20 მილიონ მანეთის გადადებას თხოულობს.

——

ერობათა ცხოვრება

ტფილისის სამაზრო ერობა

დიღმის არხი.

დიღმის არხის გამოყვანის გამო სამაზრო ერობამ შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ დიღმის რაიონში მდებარე საფონდო მიწები გადასცეს მაზრის ერობას. ამას გარდა გამგეობამ დაადგინა, ეთხოვოს მთავრობას, რომ საფონდო მამულების რეალიზაციით შემოსასვლელი ფულიდან ერობას მისცეს სესხად 20 მილიონი მანეთი.

——

გორის სამაზრო ერობა

საერობო აღმშენებლობა.

გორის მაზრის აღმადგენელ კომიტეტის მთავარ ინსტრუქტორის მოხსენების თანახმად გამგეობამ დაადგინა: უცვლელად დარჩეს წინად წარდგენილი სრული საამშენებლო გეგმა სამაზრო ერობის, ხოლო 1 ივნისის შუამდგომლობას (20 მილიონით დახმარებაზე ხაზინიდან საამშე-

ნებლო საქმის დასაწყობად) ეხლა დაერთოს დამატებითი აღსნა და ცალკე ხარჯთ-აღრსცხვას პირველ რიგში ასაგებ შენობებისა ხაზინიდან მოთხოვნილ 20 მილიონით აგებულ იქმნას ამავე წელს ერთი შენობა სამაზრო ერობის გამგეობისათვის, 8 შენობა (3ъ ბინა) მსახრუთათვის, ყაზარმები 100 მილიციონერისათვის და თავლები 100 ცხენისთვის.

ჭინახულის გაზიდვის აკრძალვა.

ვინაიდან შინაგან მინისტრის ბრძანებით აკრძალულია გორის მაზრიდან ჭინახულის გადატანა, მაგრამ სპეკულიანტები მაინც ახერხებენ ამას, ამიტომ გორის სამაზრო გამგეობამ დაადგინა: ყველა სადგურებთან ახლოს დაყენებულ იქმნას მილიციონერი, რომელიც ჭინახულს არ მიუშვებს ვაგზლამდე.

მუშათა მაგიდა გორში.

მომარაგების სამინისტრო თანახმა არის მუშათა მაგიდა დაარსოს გორში რწმუნებულ აბ. მიქაძის ხელმძღვანელობით, თუ სამაზრო ერობა დაეხმარება პურის შეძენაში.

გამგეობამ დაადგინა: შეტანილ იქმნას ათას-ათასი მანეთი სამინისტროში და მოაწყოს მუშათა მაგიდა გორში.

სიღნაღის სამაზრო ერობა.

1919 წ. ანგარიში

(სიღნაღის მაზრის საერობო ხმოსანთა მე-4 ყრილობის ოქმიდან).

1. რადგან სამაზრო ერობის გამოგეობამ დღემდე ვერ წარმოადგინა 1919 წ. დამთავრებული ანგარიში, ამიტომ ძველი 1919 წ. ანგარიშისა და გამგეობის მოქმედების განხილვა გადაიდოს შემდეგი ყრილობისათვის, ხოლო ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე 1920 წ. განხილულ იქნეს, რათა არ შეფერხდეს ერობის მუშაობა.

2. დღიდან არა უგვიანეს ორი თვისა დამთავრებული იქნეს 1919 წ. ანგარიშები და მის განსახილველად დაუყოვნებლივ მოწველ იქმნეს ხმოსანთა არა ჩვეულებრივი ყრილობა.

ჯამაგირის მომატება.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ჯამაგირის მომატება არ აუმჯობესებს მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობას, ყრილობა ადგენს:

1. მიეცეთ საერობო მოსამსახურეთ დახმარების სახით მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ფულად დამატება 50% თვიური ჯამაგირისა იმ მოსამსახურეებს, რომელნიც იღებენ თვიურად ჯამაგირს 3000 მ. და ნაკლებს, ხოლო 40% ჯამაგირისა იმ მოსამსახურეებს, რომელნიც იღებენ თვიურ ჯამაგირს 3000 მანეთზე მეტს.

2. ეს დახმარება ეძლევათ იმ დრომდის, ვიდრე მოსამსახურეებს ფაქტიურად მიეცემათ სურსათი.

3. დაუყონებლივ შეტანილ იქმნას სამაზრო ერობის გამგეობის მიერ მომარაგების სამინისტროში თვითეულ მოსამსახურეზე 200 მან. მოსამსახურეთა სურსათზე მომარაგების ფონდში.

4. ეს დადგენილება ვრცელდება იმ მოსამსახურეებზედ, რომელნიც ამ ჟამად იმყოფებიან ერობის სამსახურში.

5. სახალხო მასწავლებლების ჯამაგირების დამატება ერობის მხრივ 1 ივლისიდან გადიდდეს კიდევ 300 მანეთით თვითეულ მასწავლებელზედ. დაევალოს საერობო გამგეობას დაუყოვნებლივ მოაწყოს მოსამსახურეთა ადგილობრივ სურსათით დახმარება.

6. დღიურები საერობო მოსამსახურეთათვის სამსახურის საქმეების გამო მათ მოგზაურობის დროს მაზრაში განისაზღვრებოდეს ერთი დღის ჯამაგირის რაოდენობით, ხოლო მაზრის გარეშე ერთი ორად

თელავის სამაზრო ერობა

საფონდო მიწების განაწილება თელავის მაზრაში.

თელავის სამაზრო ერობამ მიწათ-მოქმედების სამინისტროს დასამტკიცებლად წარმოუდგინა პროექტები საფონდო მიწების დანაწილებისა რუის პირის უბანში (იყალთოს რაიონისა) და სოფელ ურიათუბანი (ამავე რაიონისა). თანახმად ამ პროექტისა სოფ. ურიათუბანში დანაწი-

ლებულია 307 დეს., რომელიც შეფასებულია 756757 მანეთად, ხოლო რუის-პირში—735 დესეტინა, რომელიც შეფასებულია 1531289 მან. სოფელ ურიათუბანში დაკმაყოფილებულია 333 მთხოვნელი, ხოლო რუის-პირში 313 მოქალაქე. მიწათ-მოქმედების მინისტრმა წარმოგენილი პროექტები მოიწონა და დაამტკიცა.

შორაპანის სამაზრო ერობა.

ჩვენს მაზრაში ბევრი სოფლები დამშეულია, მაგრამ ერობა ზომებს იღებს სოფლების დასახმარებლად. წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს; იმ თანხით, რომელიც გადადო მთავრობამ დამშეულ სოფლებთა დასახმარებლად ერობა ფიქრობს შეიძინოს მოსავლიდან სიმინდი, რათა მომავალში მაინც უზრუნველყოს მცხოვრებლები სიმშილისაგან. ერობა დიდ ყურადღებას აქცევს სწავლა-განათლების საქმეს; სკოლების რიცხვი დღითი-დღე იზრდება, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ არ მოგვეპოვება გამოცდილ მასწავლებელთა საჭირო კადრი, ამისათვის იძულებული ვართ სკოლები ჩავაბაროთ, გამოუცდელ მასწავლებებს; მომავალ სამოსწავლო წლიდან ერობამ დაადგინა გახსნას ქალ. ზესტაფონში სამოსწავლო სემინარია.

ამ უკანასკნელ ხანებში გახშირდა ყაჩაღობა ქურდ-ბაცაცობა, მაგრამ მათ წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები. რამოდენიმე თვალსაჩინო ყაჩაღს კიდევაც მოუღეთ ბოლო. გზებს ხალისიანად აკეთებენ თვითონ სოფლელები; ზოგიერთ სოფლებში დღეს იმდენათ შეკეთებულია გზები, რომ ეტლით მგზავრობაც კი შეიძლება. უკანასკნელი ცნობებით იმერეთში გვალვის გამო სიმინდები ყველგან გაფუჭებულა.

თემთა ცხოვრება.

წინანდლის თემი (თელავის მაზრა). ს. კონდოლს მოელის კისისხევის ხევისაგან სრულიად განადგურება; ხსენებული ხევი გაზაფხულობით საგრძნობლად დიდდება და აზარალებს მცხოვრებთ. არა ერთხელ იყო ნათხოვი რომ აღმოეჩინათ დახმარება ხევის შეკეთებაში;ამ მხრივ თელავის სამაზრო ერობამ გადადგა ნაბიჯი; წყალთა სამმართველომ გა-

მოგზავნა ორი ინჟინერი, ბ. ბ. სმოლინკოვი და ხიზანაშვილი, რომელთაც შეადგინეს პროექტი და დაწვრილებით ხარჯთ აღრიცხვა (5 მილ. მანეთი). წყალთა სამმართველოს პროექტი და ხარჯთა-ღვრიცხვა გადაუცია სამაზრო ერობისთვის. რა მდგომარეობაშია დღეს ინჟინრების ნამუშავარი პროექტი—ხარჯთაღრიცხვა ჩვენ არ ვიცით. ცხადზე ცხადია, მცხოვრებლებს არ შეუძლიანთ გაიღონ 5 მილ. მანეთი, მით უმეტეს რო, მცხოვრებლებს მიაყენა დიდი ზარალი აგრედვე სეტყვამ; ამისათვის საჭიროა მთავრობამაც იზრუნოს და გაიღოს სამელიორაციო სესხის სახით დახმარება ფულით და გადაანარჩუნოს ს. კონდოლი დაღუპვისგან; აგრეთვე საჭიროა თელავის სამაზრო ერობამ მეტის ენერგიით მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს.

ახლო მომავალში სამაზრო ერობაში არის დანიშნული თემთა წარმომადგენელების ყრილობა; ამ ყრილობაზედ გაშუქდება თემების ცხოვრება, მათი ნაკლი და დადებითი მხარე.

——

ქალაქთა თვითმართველობა

სასურსათო გეგმა.

ტფილისის ქალაქის საბჭომ სასურსათო განყოფილების მოქმედების შესახებ მოხსენება დაამუშავა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ახალმა საბჭომ სხვა და სხვა საქონელის გადმოცემის დროს სულ 19—20 მილ. მან. ღირებულების ქონება ჩაიბარა. ამ ჟამად კი 200 მილ. მან. ღირებულების საქონელი არისო. სასურსათო განყოფილების ოპერაციები წინედ იძლეოდა: იანვარში 57 მილ. მან.; თებერვალში 103 მილ. მან., ამ ჟამად კი თანხა 200 მილ. მან. აღემატება. მცხოვრებთა ინტერესების დასაცავად და ბაზარზე ფასების დასაცემად ქალაქის საბჭო თავის მოქმედებას თან და თან აფართოებდა. ამ ჟამად გახსნილია 13 დუქანი, 4 მანუფაქტურის მაღაზია, 2 გასტრონომიული მაღაზია და ერთიც ფესაცმელების. ქალაქი ამასთანავე ქუჩებში ნავთის ვაჭრობას აწარმოებს. სასურსათო განყოფალება არის მუშათა მაგიდის მთავარი გამწესრიგებელი ორგანო. მუშათა მაგიდის მიერ 65000 მჭამელთა შორის გაწესრიგებულ სასურსათო ბარათში 50000 უშუამავლოთ სასურსათო განყოფილება აკმაყოფილებს. ყოველდღიურად საურსათო განყოფილება მოსამსახურეებს და მუშებს 1500 ფუთ პურს აწვდის. სასურსათო განყოფილება ყოველგვარ ზომებს იღებს მიაწოდოს საქონელი მცხოვრებლებს, და მეორე მხრით ბაზრის ფასებზე იმოქმედოს. ივლისში ქალაქის მაღაზიებში 10 მილ. მან. მეტი მანუფაქტურა გაიყიდა,

ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება

გადასახადების აკრება.

გადასახადების ამკრებ სამმართველოს უფროსი ვირსალაძე, რომელიც სარევიზიოდ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა და სხვა ადგილას იყო გამგზავრებული ტფილისს დაბრუნდა. რევიზია მოახდინა თიანეთის მაზრასა და კახეთის ზოგიერთ ადგილში. ვირსალაძის გადმოცემით გადასახადის აკრების წყოსი (აპარატი) ქალაქებში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. რევიზორი აღნიშნავს, რომ რძის წარმოება თიანეთის მაზრაში სათანადო სიმაღლეზეა დაყენებულიო. წელს კარგი მოსავალი იყო. მეჯოგეობა ფრიად ვითარდება. მეურნეობის ამ დარგებზე გადასახადების ამკრებ წყოსის სისუსტის გამო სათანადო გადასახადი ვერ არის გაწერილი. საქმის გასაუმჯობესებლად ვირსალაძეს საჭიროდ მიაჩნია გადასახადების ამკრები ინსპექტორები სამგზავრო ფულში გაუთანასწორონ სახელმწიფო დაწესებულების მოხელეებს. ფინანსთა მინისტრი დაეთანხმა ვირსალაძის ამ მოსაზრებას და შეპირდა მას, რომ გადასახადების აკრების საქმე იმდენად კარგად არის დაყენებული, რომ მოსალოდნელია $14^1/_2$ მილიარდი მანეთის შემოსავალი. ფინანსთა სამინისტროს დავალებით ვირსალაძე ბათომს გაემგზავრა გადასახადების აკრების საქმის მოსაწესრიგებლად.

სატარიფო პალატაში.

სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ჟურნალისტთა კავშირის მიერ გამომუშავებული პროექტი ტარიფის შესახებ. ეს დადგენილება ძალაში შედის აგვისტოს 1. ტარიფის თანახმად ჟურნალისტები განიყოფებიან სამ კატეგორიად: 1) პერიოდულ გამოცემათა სარედაქციო სამუშაოში პირდაპირი თანამშრომელი; 2) შერეულ საფუძველზე მომუშავენი და 3) მარტოდ მარტო სტრიქონებზე მომუშავენი. საპასუხისმგებლო რედაქტორთა უმაღლესი ჯამაგირი მიაღწევს 12 ათას მან. გაზეთის ჩვეულებრივ სტრიქონის უდიდესი ჰონორარი იქნება 3 მანეთი.

ქართულ ფრანგული ეკონომიური სავაჭორო პალატა.

ქართულ-ფრანგული სავაჭრო პალატა მოქმედებას შეუდგა. პალატის წევრთა დამფუძნებელ კრებაზე საფრანგეთის კონსულმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა და პალატას ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენას დაჰპირდა. აირჩიეს საბჭო 15 კაცისაგან შემდგარი. საბჭომ თავის მხრივ აირჩია პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—ი. კემულარია, ამხანაგი მ. ტოლო; პრეზიდიუმის წევრებად: ლ. ბერნეკი, ი. ზურაბიშვილი. განზრახულია მოაწყონ პალატასთან სამკითხველო ფრანგული სპეციალური პრესის მიღების შემდეგ. პრეზიდიუმმა უკვე შეიმუშავა გეგმა მოქმედებისა, რომელიც პალატის საბჭომ დაამტკიცა. ეს პროგრამა ნაწილობრივად უკვე ხორციელდება. პალატა ადგენს ქალალდებს და წერილებს ფრანგულ ენაზე, ფრანგებისათვის კი ქართულ ენაზე პალატამ საფრანგეთის ბანკების კონსორციუმთან მოლაპარაკება გამართა საქართველოში საფრანგეთის ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ. ამ შემთხვევაში პალატის მიზანია: ფინანსების გაჯანსაღებაში, მრეწველობის განვითარებაში, საქონლის გაცვლა-გამოცლის საქმეში და საერთოდ საქართველოსა და დასავლეთ ევროპის შორის კომერციულ დამოკიდებულების აღდგენაში მთავრობას დახმარება აღმოუჩინოს.

საკითხი ბადიაურში მომუშავეთა ავადმყოფობის შესახებ.

კომიტეტის წევრმა ბ. სტურუამ განაცხადა ეროკავშირში, რომ ბადიაურში მომუშავენი მეტად ძნელ პირობებში არიან ჩაყენებულნი დიდი პროცენტი აქ მომუშავეთა ავად ხდება და საქიმოდ დახმარება კი მათ არავითარი არა აქვთ.

ეროკავშირმა დაადგინა: გადაგზავნილ იქმნას ბადიაურში ეროკავშირის მომუშავეთათვის პატარა აფთიაქი და ეთხოვოს კომიტეტის წევრს ბ-ნ სტურუას გამართოს მოლაპარაკება ადგილობრივ საერობო ერთეულთან ბადიაურში ეროკავშირის მუშების საქიმო დახმარების შესახებ.

მასალეგი მუშათა დელეგაციისთვის

ერობათა მოქმედება.

ერობათა კავშირმა რესპუბლიკის საერობო დაწესებულებეთა მოქმედების შესახებ მოხსენება შეიმუშავა, რომელიც რუსეთში მიმავალ მუშათა დელეგაციას გადაეცა. მოხსენება შემდეგს შეიცავს: საქართველოს რესპუბლიკაში 20 სამაზრო ერობა და 356 თემი არის მოწყობილი. ამ რიცხვში არ შედის ბათომის ოლქი.

ერობათა თვითმართველობების ხმოსანთა არჩევნები თანასწორი, საყოველთაო და ფარული კენჭის ყრით ხდება. არჩევნები პროპორციულ პრინციპზე არის აგებული. ნორჩ საერობო დაწესებულებათ მძიმე პირობებში მოუხდათ მუშაობა, მაგრამ ერობებმა მცხოვრებთა საერთო ნდობა მაინც დაიმსახურეს. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი სასურსათო საკითხმა მიიღო. ამიტომ ერობები, რომ შეემსუქებიათ მცხოვრებთა მდგომარეობა, იძულებულნი იყვნენ თითქმის ყოველ მაზრაში სასურსათო მაღაზიები მოეწყოთ. ამასთანავე საერობო დაწესებულებათა ორგანოები მცხოვრებთა მდგომარეობის შესახებ ცნობებს კრებენ. სურსათსანოვაგის სამაზრო ერობები აგროვებენ თავის ხელში, დანაკლისს ყიდულობენ და შემდეგ აწესრიგებენ მცხოვრებთა შორის, იმის და მიხედვით, თუ ვინ როგორ გაჭირვებას განიცდის. ამსთანავე საერობო დაწესებულებანი—მომარაგების სამინისტროს მიერ სასურსათო გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად ყოველგვარ ზომებს ღებულობენ. აგრეთვე ერობები იღებენ ზომებს რაიონების ეკონომიურ კეთილდღეობის განსამტკიცებლად. ამ მიზნით სდებენ სათანადო თანხებს: ზუგდიდის სამაზრო ერობამ ამ მიზნის განსახორციელებლად 7 მილ. მანეთზე მეტი გადასდო, ბორჩალოს სამაზრო ერობამ—12 მილ. მან. მეტი, გორის სამაზრო ერობამ დაახლოებით 3 მილ. მან, თიანეთის ერობამ 2 მილ. მან. და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას სამაზრო ერობები სახალხო განათლების საქმეს აქცევენ: გახსნილია საშუალო და დაბალი სასწავლებლები, მოწყობილია კურსები, საკვირაო სკოლები, სამკითხველოები და სხვ. ტფილისის სამაზრო ერობამ განათლების საქმეზე თავის წლიურ ბიუჯეტის მერვე ნაწილი დახარჯა; გორის სამაზრო ერობამ წლიურ 50 მილ. მან. ბიუჯეტიდან 9 მილ. სახალხო განათლების საქმეს მოანდო-

მა; შორაპნის ერობამ 43 მილიონი მანეთიდან სახალხო განათლების საქმისათვის 12 მილონი მან. გადასდო, ოზურგეთის ერობამ 55 მილ. მანეთიდან 21 მილ. მანეთი და სხ..

სერიოზული ყურადღება ექცევა აგრეთვე საექიმო—სასანიტარო და საბეითლო საქმეებს. ასეთივე ყურადღებით ეპყრობა სამაზრო ერობა საგზაო აღმშენებლობას და სხ. სამაზრო ერობებმა და ზოგიერთმა თემებმაც საერობო აფთიაქები გახსნეს: ოზურგეთის საერობო თვითმართველობამ 5 აფთიაქი გახსნა; ქუთაისის ერობამ—5, სენაკისამ—6 და სხვა.

ადგილობრივ პიროობების ბუნებრივ სიმდიდრის და თვით მკხოვრებთა მოთხოვნილებების თანახმად ადგილობრივ რაიონებში მრეწველობის ესა თუ ის დარგი ვითარდება. ეწყობა კარგი მექანიკური სახელოსნოები და ტყის სახერხი ქარხნები და წისქვილები. ასეთი ქარხნები მოწყობილია გორის, თიანეთის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, გუმისტანის და სხ. სამაზრო ერობების მიერ. სენაკის სამაზრო ერობამ, გარდა ამისა, კარგად მოაწყო ქსოვის საქმე. აქვე მექანიკურ სახელოსნოსთან მოწყობილია სახარატო, საზეინკალო, სასხმო და სადურგლო საამქროები. დიდძალი თანხები გადასდო აგრეთვე ერობამ რკინის გზების და სამკურნალო წყლების საჭიროებისათვის. კერძოთ სილნაღის და კოდორის ერობები არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რომ უკეთესად მოაწყონ განთქმული ახტალის ტალახიანი აბანოები და ტყვარჩელის წყლები. თავის მხრივ ერობათა კავშირი მრეწველობის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს. ქალაქებში მან ცენტრალური სახელოსნოები მოაწყო. გახსნილია დიდი ტყის სახერხი, საპნისა და სხვა ქარხნები. ერობათა კავშირი აწარმოებს აგრეთვე საქონლის შესყიდვას და შემდეგ მცხოვრებთათვის დასარიგებლად საქონელს წვრილ საერობო ერთეულებს აწვდის.

დასასრულ ერობათა კავშირი აღნიშნავს, რომ ერობების დაწესებულებათა მუშაობამ მოიტანა სასურველი შედეგები და მან მოამზადა ნიადაგი მთელი ეკონომიური ცხოვრების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განმგებლობაში გადასვლისათვისო.

შრომის ბირჟის მოწოდება.

შრომის ბირჟაში ჩაწერილი უმუშევრები ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად აცდენენ თავიანთ რიგს; ეს კი შრომის ბირჟას საშუალებას უსპობს ბირჟაში შესული მუშა ხელის მოთხოვნილება თავის დროზე დააკმაყოფილოს. უმთავრესად ეს ეხება კვალიფიციურ მუშებს — ლითონზე და აღმშენებლების — მუშებს. აღნიშნულ დარგის მუშები არ კმაყოფილდებიან სატარიფო პალატის მიერ შემუშავებული ჯამაგირებით და ისინი უპირატესობას აძლევენ თავიანთი შრომა შრომის ბირჟის გარეშე, მის დაუკითხავად, ბაზარზე გაიტანონ. ეს ხდება სწორედ იმ დროს, როცა შრომის ბირჟაში აუარებელი მოთხოვნილება არის მუშა-ხელისა, ხოლო ბირჟას, მისდა სამწუხაროდ, არ შეუძლია დააკმაყოფილოს მწარმოებელი, რადგან ბირჟას არ მოეპოვება შესაფერი კატეგორიების უმშევრები.

აშკარაა, დამქირავებელი იძულებული ხდება გავიდეს ბაზარში და იქიდან მოიწვიოს მუშები, რასაკვირველია, გაცილებით დიდ ფასებში. ეს კი ძალიან ცუდ გავლენას ახდენს თვით ნაწარმოების თვისება-ღირებულებაზე.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა, მუშა-ხელის გადაჭარბებულ ხელფასის მოთხოვნილების გამო, არ მზადდება აუცილებლად გასაკეთებელი საგნები. ეს უკანასკნელი შემთხვევა კი განსაკუთრებულ ზედგავლენას ახდენს საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულება-წარმოებაზე.

ამ ჟამად შრომის ბირჟაში ძალიან დიდი მოთხოვნილებაა ლითონზე მომუშავეთა, აღმშენებლებისა და ხე-ტყის გამამზადებელ მუშებისა და საზოგადოდ არა კვალიფიციურ მუშებისა, და სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ბირჟას შუძლიან დაკმაყოფილოს აღნიშნული დარგის მუშების ასი და ათასი უმუშევარი, მას საშუალება არა აქვს დააკმაყოფილოს მოთხოვნილების მეოთხედიც.

შრომის ბირჟაში ჩაწერილ ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრებს სხვა არა ნორმალური მოვლენაც ემჩნევათ — არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ბირჟის წესდებას, არ ცხადდებიან დანიშნულ დღეს, დანიშნულ დროს, ესწრებიან კვირაში ერთხელ, ეს მაშინ, როცა შრომის ბირჟაში ყოველდღე შემოდის მოთხოვნილება; მას კი უძნელდება ყოველთვის შეინახოს ადგილი რიგში მყოფ უმუშევართათვის.

შრომის ბირჟა, სთვლის რა აღნიშნულ მდგომარეობას არანორმალურად, მოუწოდებს ყველა უმუშევართ ჩაეწერონ შრომის ბირჟაში და მტკიცეთ დაიცვან თავიანთი რიგი.

ამასთანავე შრომის ბირჟა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისი წესდება რეგისტრაციისა არას შემთხვევაში განსხვავებული არ იქნება ამა თუ იმ კატეგორიის მუშბეისათვის.

შრომის ბირჟის შემოწმებით დღიურად მომუშავე მუშის ხელფასი შემდეგნაირია:

აღმშენებლობითი მუშებს 300—355 მ., ლითონზე მომუშავეებს 300—400 მ., შავ სამუშაოზე მომუშავეებს 200 მ.

აღნიშნულ ციფრებში შედის 25%, რომელნიც იაფ-ფასიან სურსათ-სანოვაგით ვერ სარგებლობენ სახელმწიფო ფონდიდან.

პრესა და გეოგლიოგრაფია.

(პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები პროფესორის შარლ-ჟიდისა, ინსონ გაბიდა-ის თარგმანი).

დიდათ დიდი, პირდაპირ წარმოუდგენელი ამბავი მოხდა ისტორიაში. საქართველო, ეს ერთი ბოხჩა ქვეყანა, რომელიც ცოცხლად გაყინულ რუსეთის უშველებელ აბსოლიუტიზმს ნესტან დარეჯანივით ცხრა კლიტულში ყავდა დატყვევებული, გათავისუფლდა სრულიად და დღეს იგი ძველებურ ფეოდალურ საქართველოს მაგიერ მოინათლა წმინდა დემოკრატიულ რესპუბლიკის ემბაზში. ამასთანავე იგი ფეოდალიზმის მრავალ სამეფოთ და საერისთაოდ დაყოფილ—დანაწილებული, სრულიად გაერთიანდა ერთი დიადი, მიმზიდველი და ძლიერი დროშის ქვეშ. ამიერიდან ქართველმა მოქალაქემ შეუდარებელი სიცოცხლის ფასი ძლიერად იგძნო და ღრმათაც ამოისუნთქა.

საქართველოს დამფუძნებელი კრება და მისი ნდობით აღჭურვილი, პატიოსნებით სავსე სოციალისტური მთავრობა, დღეს ჩაბმულია უდიადეს აღმშენებლობის პროცესში. ერის ეს ორი უზენესი წარმომადგენლობა საქვეყნოთ სჭედს ქართველი დემოკრატიის შემოქმედების ნიჭთა ყოველ გვარათ გავითარების ასპარეზს და ამით იგი კავკასიონის გიგანტის ერთ უტურფეს და უმდიდრეს ქვეყანას ახალ-ახალ, ჩვენთვის ჯერ სრულიად უცნობს ფორმებში ხვევს. ამიტომაც იგი ძირბუდიანად სპობს ძველი ფეოდალური ცხოვრების დახავსებულ ფორმებს და ნაცვლად იმისა, სამუდამოთ ამტკიცებს თავისუფალ დემოკრატიულ პწესწყობილებას.

ქართლოსიანთა ერის ყოველ სფეროსა და დარგებში მყარდება ახალი წესი, ისახება ახალი კულტურით დაწინაურებული ევროპის ხმელეთიდან ძლიერათ შემოჭრილი ცხოველმყოფელი ნაკადული, რომელმაც უნდა ძირეულათ გარდაქმნას ქართველი მოქალაქის მთელი არსება.

საიდან მოხდა ეს წარმოუდგენელი ამბავი? რა და რა ისტორიული მიზეზების ბრალია ასეთი გადატრიალება ჩვენი ცხოვრებისა, ასეთი დიდი რევოლიუცია?

ეს დიდი, მდიდარი და მეტად გძელი ისტორიაა, მკითხველო და ამ ისტორიას, მიუცილებლათ, ჩემზე უფრო ნასწავლი, ბძენი და გამოცდილი კალმოსანიც დასწერს.

მე-კი ამ ჟამათ აღვნიშნავ მხოლოდ და მარტო ცოცხალ ფაქტს. საქართველომ ძველი ფეოდალური საზე პოლიტიკურათაც და სოციალურათაც ახალ გათავისუფლებულ დემოკრატულ ფორმებში გამოხატა. მან დაიწყო სრულიად საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქალაქობრივი ცხოვრება და ღონიერათაც მოკიდა ხელი თვისი სულიერი და ნივთიერი კულტურის აღორძინებას, გაძლიერებას, ე. ი., სრულ გაევროპიელებას.

მარა სულიერი და ნივთიერი დოვლათის დაგროვება, ერის ძირეული გარდაქმნა არ მოხერხდება მანამ, სანამ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და საგანძური აქ-

ვე, საქართველოშივე არ დამუშავდება, ე. ი., არ გვექნება ჩვენი საკუთარი ქარხნები და ფაბრიკები ფილიანდიასავითა და პოლონეთივით, აქვე არ აყვავდება ნამდვილი ევროპიული სხვილი მრეწველობა.

დემოკრატიული სულის კვეთებით გამსჭვალული ქართველი მოქალაქე დღეს იწყებს უდიადეს სულიერ და ნივთიერ მუშაობას. ჩვენი სულიერი და ნივთიერი მუშაობა-კი წარმოუდგენილია, თუ აქედანვე გონებით არ გავჭოიტეთ, არ გავაშუქეთ ჩვენი მოქმედება. უმიზნოთ და უმიზეზოთ, გაუშუქებლათ და მტკიცეთ აუწონელ-დაუწონელათ მოქმედება, მოღვაწეობა საქართველოში ამიერიდან შეუძლებელია. როგორც წინათ გვიცხოვრია, აწი ისე ვეღ-რ ვიცხოვრებთ. თითოეულმა ქართველმა მოქალაქემ, ქალია ის, თუ კაცია, უნდა ენერგიულათ იმუშაოს, იშრომოს და ამ შრომას წესი და გონიერება წინ წაუმძღვანოს.

ყველაფერ ამას გვასწავლის ახალი და მდიდარი მეცნიეოება-პოლიტიკური ეკონომია. და ყოველი ნაშრომი, რომელიც იქნება შემოტანილი ამ სფეროდან ქართულ ლიტერატურასა და მეცნიერებაში, გაგვიწევს დიდათ დიდ დახმარებას და ხელმძღვანელობას ამ ახლად აღორძინებულ დიდი და მდიდარი ცხოვრების დუღილში.

და მართლაც, ახლავე დაიწყო ჩვენში საოცარი, სერიოზული მუშაობა მწერლობისა და სტამბისა, რომ ქაღალდის შიმშილობა არა გვხუთავდეს. ახლავე ფთა გაშალა წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმემ, იწყება თარგმანების სერიოზული ლიტერატურაც; აი, სწორეთ ესეთი, როგორც რუსებს ქონდათ გასული საუკუნის 60-იან წლებიდან გაჩაღებული.

შარშან იასონ გაბილაიას ფრანგულიდან ქართულად გადმოუთარგმნია და ქუთაისის სამაზრო ერობის სტამბაში გამოუცია ძალიან დიდ ტანიანი წიგნი პროფესორის—**შარლ-ჟიდის** „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები".

ქართულ გამოცემას დართული აქვს სამი წინასიტყვაობა: ავტორისა, ფილიპე გოგიჩაიშვილისა და მთარგმნელისა.

პროფესორს სრულიად ამოწურული აქვს თვისი ნაწარმოების საგანი.

თვისი ნაშრომის შესავალში პროფესორი არკვევს საეკონომიო მეცნიერების, სხვადასხვა ეკონომიური შკოლების, ადამიანის სხვადასხვა მოთხოვნილებას, ღირებულებას და აგრეთვე შრომის თეორიასაც უწვრილმანდება.

შესავალის შემდეგ, შარლ-ჟიდი თავის ნაწარმოებს ყოფს ოთხ წიგნათ. პირველ წიგნში წარმოების ფაქტორებია განმარტებული: ბუნება, შრომა და კაპიტალი. წარმოების ორგანიზაცია, როგორა ხდება წარმოების რეგულიაცია, შრომის განაწილება, წარმოების კონცენტრაცია, ასოციაცია წარმოებაში და სახელმწიფო წარმოებაც.

მეორე წიგნში გამოკვლეულია აღებ-მიცემობა, გაცვლა-გამოცვლა, ლითონის ფულები, ფულის სისტემები, ქაღალდის ფული, საერთაშორისო აღებ-მიცემა. სავაჭრო პოლიტიკა, კრედიტი და ბანკები.

მესამე წიგნში განაწილებაა გარკვეული. აწერილია სხვადასხვა წესი განაწილებისა: თანამედროვე წესი და სოციალისტური წესებიც, განაწილების მონაწილეთა კათეღორიები, მიწის-მფლობელები, კაპიტალისტი რანტიე, დაქირავებულები და მოსაქმენიც.

და, ბოლოს, მეოთხე წიგნში ახსნილია მოხმარება და წარმოებასთან მისი დამოკიდებულება, ხარჯი და მომჭირნეობა.

შარლ-ჟიდი პარიზის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სოციალური ეკონომიის ცნობილი პროფესორია და მთელ ევროპაში საკოოპერაციო მოძრაობის ერთი უნიჭიერესი და უშესანიშნავესი თეორეტიკოსთაგანიც. იმისი ცოცხალი ტემპერამენტი და ერუდიცია თანდათან დიდ ყურადღებას იპყრობს იქ. პოლიტიკურ ეკონომიაში იგი უფრო უახლოვდება გერმანეთის, ასე წოდებულ, ისტორიულ მიმართულებას, რომელსაც მეთაურობს ცნობილი პროფესორი—ზომბარტი.

ქართულად გადმოთარგმნილ პარიზელ პროფესორის ნაწარმოებში თქვენა გხიბლავთ მდიდარი აზრების მარტივათ, სულ უბრალოთ გამოთქმა. ორ აზროვნობა და გაუგებრობა არსად შეგხვდებათ და ისე გატაცებით იკითხება როგორც რომანი და მოთხრობა, თუ რასაკვირველია, გაინტერესებთ თვით წიგნის საგანი, თვით პოლიტიკური ეკონომია. ეს იშვიათი ნაწარმოები ხელსამძღვანელოთ გამოადგება არა თუ ქართველ სტუდენტობას და ასაკში მოსულ მოსწავლე ახალგაზდობას, არამედ ყველას, ვისაც სურს საკუთარი შრომით წავიდეს წინ თვით განვითარების გზაზე.

ჟურ. „კოოპერაციის“ რედაქტორმა, იასონ გაბილაიამ პროფესორის ამ წიგნის შვენიერ, სუბუქ ქართულ ენაზე გადმოთარგმნით დიდი სამსახური გაუწია ქართველ მკითხველს, რომელიც ამ წიგნს, რა თქმა უნდა, დაეწაფება.

წიგნი ლამაზათ არის გამოცემული, კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი, შეიცავს 380 გვერდს და ღირს 100 მან., რაც დღეინდელ ქაღალდის და სტამბის ხარჯების სიძვირესთან შედარებით, თითქმის სულ არაფერი ფასია.

ხომლელი

ბ ა ლ ა

დ უ შ ე თ ი ს ხ ა ძ ა

ა ქ ტ ი ვ ი

1 იან.

№№	ს ა გ ნ ი ს ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ა	მანეთი	კ.	მანეთი	კ.
1.	**ანგ. სალაროსი**				
	ეროობის სალაროში არის ნაღდი ფული.	„	„	147,522	80
2.	**ანგ. სახელდახელო თანხებ.**				
	სახელდახელო ანგარიშით ირიცხება დუშეთის ხაზინაში.	„	„	375,000	„
3.	**დეპოზიტები**				
	დუშეთის ხაზინის დეპოზიტში ირიცხება ეროობის თანხა.	„	„	189,213	50
4.	**უძრავი და მოძრავი ქონება**				
	ეროობის უძრავი და მოძრავი (ინვენტარი) ქონების ღირებულება უდრის . . .	„	„	7,291,263	31
5.	**დებიტორები**				
	ეროობას ეროგება (სხვა და სხვა პირ. ვალი).	1,381,751	98	„	„
	აგრარულ განყოფილებიდან.	5,994	12	„	„
	საქონლის დანაკლისისა. .	16,166	64	1,403,912	74
6.	**საქონელი (სასურსათო).**				
	საწყობში არის საქონელი ნაყიდ ფასებში. . . .	„	„	2,790,457	65
7.	**შემოსავლის ხარჯთა-აღრიცხვა.**				
	მოსალოდნელია კიდევ 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შემოსავალი.	„	„	1,972,853	04
	ბ ა ლ ა ნ ს ი. . .	„	„	14,170,223	04

ნ ს ი

ზ რ ო ე რ ო ბ ი ს ა

ვრის 1920 წ.

პ ა ს ს ი ვ ი

№№	საგნის სახელწოდება	მანეთი	კ.	მანეთი	კ.
1.	**სახელმწიფო დაწესებულების თანხა.**				
	ერობას აქვს გადასახდელი სხვა და სხვა დაწესებულ.				
	და კრედიტორების ვალი	2,011,559	64	„	„
	მთავრობის სესხი 7%	400,000	„	„	„
	„ „ 5 %	144,000	„	2,555,559	54
2.	**შემთხვევით ნაპოვნის და დანაკარგისა.**				
	შემთხვევით ნაპოვნის ან შეძენილ საქონლისა . .	„	„	183,633	80
3.	**გარდამავალი თანხებისა.**				
	ირიცხება გამოურკვეველი თანხა 1 იანვრისთვის. .	„	„	195,015	99
4.	**გასავლის ხარჯთა-აღრიცხვა.**				
	მოსალოდნელია კიდევ 1919 წ. ხარჯთა-აღრიცხვის ხარჯები	„	„	3,696,714	71
5.	**კაპიტალი.**				
	სუფთა კაპიტალი ითვლება ერობის ქონებათ. . .	„	„	7,539,299	„
	ბ ა ლ ა ნ ს ი. . .	„	„	14,170,223	04

შესწორება

ჟურ. „ერობის“ მე-5 ნომერში წერილი; „არსებული კანონი თემის შესახებ“ შეცდომით ნ. ასათიანის სახელით წავიდა. უნდა იყოს: ლ. ასათიანი.

რედაქტორები: { გრ. ლორთქიფანიძე.
პ. საყვარელიძე.

გამომცემელი: ერობათა კავშირის კომიტეტი.

მიიღება ხელის მოწერა 1920 წლისათვის ორკვირეულ ჟურნალ

წელიწადი პირველი „ეროვნა“ №3 წელიწადი პირველი

ორგანო ეროვნათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნათ ისახავს ეროვნების ცხოვრების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების ყოველმხრივ ... ერკვევა-გაშუქებას.

ქართულმა ბეჭდვითი ამხანაგობამ **უკვე გამოსცა გასასყიდათ შემდეგი წიგნები:**

1) ნოე ჟორდანიას თხზულებანი I და II ტომი.
2) ყარიბის—„წითელი წიგნი“ რუსულ ენაზე.
3) პროფ. სვ. ავალიანის—მსოფლიო ისტორია. ახალი საუკ.
4) ივ. ელიაშვილის—დედა-ბუნების ძირითადი კანონები.
5) ალ. წერეთლის—მსოფლიო ისტ. დაწყებითი კურსი 1 ნაწ.
6) სეით იაშვილის—ბოტანიკა 1 ნაწ.

ბეჭდებადა და გამოვა:

1) ნოე ჟორდანიას თხზულებათა III ტომი.
2) ივ. ელიაშვილის—ბუნების სარკე 1 ნაწ.
3) ალ. წერეთლის—მსოფლ. ისტ. დაწყ. კურსი 2 და 3 ნაწ.
4) სეით იაშვილის—ევროპა (გეოგრაფია).
5) იაკობ ზედგინიძის—Методическая христоматія II და III ნაწ.
6) მისივე ქართული ან-ბანი (დედა-ენის მაგიერ)
7) არკადი ჩხენკელის—ბუნება. მიწა, წყალი, ჰაერი. ამათ გარდა მზადდება **რვეულები და ბლოკ-ნოტები** სხვა და სხვა სახისა.

ყველა სახელმძღვანელო მოწონებული და ნება-დართულია სკოლებში სახმარებლად განათლების სამინისტროს **სასწავლო** კომიტეტის ...ერ.

ე 81
1920

რედაქციისაგან:

ამიერიდან ჟურნალი „ერთობა“ თავის დროზე დაუგვიანებლად გამოვა (ორკვირაში ერთხელ).

რედაქცია სთხოვს ყველა საერობო და საზოგადოდ თვითმართველურ ერთეულებს მოგვაწოდონ ადგილობრივი ცხოვრებიდან მასალები: მნიშვნელოვანი რეზოლიუციები და დადგენილებანი, წერილები, სტატისტიკური ცნობები, გამოცემანი.

ვთხოვთ ყველა რედაქციას გამოგვიგზავნონ თავიანთი გამოცემანი.

ტფილისში გამოდის

ეროვნულკვირეული საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„სოფლის მუშა“

ორგანო საქართველოს სოც-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

გაზეთი გამოვა ოროგანოგრაფიით

მასალები უნდა გამოგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის“ სახელზე—ტფილისში, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშისათვის“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ალ. ლომთათიძე. ივ. გომართელი. სტ. ელიავა.

ფასი 50 მანეთი.